

ქართლის ცხოვრება,
დასაბამი-გან შეათხრამეტე საქუქუქედის,
თარგმნილი და გამოცემული ღვაწლითა
უ. ბ რ ო ს ე,

საქრის ხანძვარტორი დეიდუმას შეტოვებოა.

ნაწილი პირველი.

მედი მონსრობა, 1469 წლადის ქრისტეს აქო:

HISTOIRE DE LA GÉORGIE
DEPUIS L'ANTIQUITÉ JUSQU'AU XIX^e SIÈCLE,

PUBLIÉE EN GÉORGIEN

PAR

M. BROSSET,

Membre de l'Académie Impériale des sciences.

I^e Partie.

Histoire ancienne, jusqu'en 1469 de J.-C.



სანკტპეტერბურღს.

DE L'IMPRIMERIE DE L'ACADÉMIE IMPÉRIALE DES SCIENCES.

1849.

Se vend chez MM. Eggers et Comp. libraires, Commissionnaires de l'Académie, Perspective de Nevsky, No. 12, et à Leipzig, chez M. Léopold Voss.

4123



ქ ს ნ თ ზ ი ს ც ხ ჟ ძ ნ ე ბ ა :

მ ა თ ს ბ რ წ ე ი ნ ვ ა ლ ე ბ ა ს

ღ რ ა ჭ ხ ს ე რ გ ი ა ხ ჯ მ ე ო ნ ა ს ძ ე ს

უ ვ ა რ ო ვ ს ,

ს ა ი მ ქ ე რ ა ტ ო რ ო პ ე ნ ს ი ე რ ე ბ ა თ ა ა ჯ ა დ ი ძ ი ს ჰ რ ე ზ ი დ ე ს ტ ს ,

ქ ა რ თ უ ღ ი ს ს ი ტ ე ვ ე რ ე ბ ი ს რ უ ხ ე თ ს შ ი ს

დ ა მ ფ უ მ ნ ე ბ ე ლ ს

დ ა მ ი წ ე ა ლ ე ს მ ფ ა რ ე ე ლ ს

უ მ ა ბ ლ ე ს დ შ ე ს წ ო რ ა ე ს
წ ო გ ნ ს ა მ ს
გ მ ი ა მ ც ე ვ ი ა თ ლ ხ ა

PUBLIÉ PAR ORDRE DE L'ACADÉMIE.

En octobre 1849.

Le Secrétaire perpétuel P.-H. Fuss.

შ ე ს ა ვ ა ლ ი .

მკითხველთათვის სიტყვა, ვითარმედ რადსათვის არს შრომა ესე:

იტყვს ბრძენი ზღინი სტოიკი რამეთუ ეოველი ჟამიიგი წარწემდეს, რომელნიცა სწავლასა სედა არა საკმარ ვიუთ. ჭეშმარიტ არს სიტყვა ესე, ვინათგან ჟამი ძლგოვარე არს, არვის ძალუცს მოქცევად და წარწემდეს ჩუენგან, უკეთუცა არა მოვიდოთ ნაყოფი მისი ჟამსა მისსა: და არათუ ჟამისა, წამისა, და წუთისა, არამედ თთვისა და წელიწდისაცა არღარა შემოღებელ ვართ კელ-ყოფად: სოლო არს ჟამი ჟამიცა, კვლად დაისახების დღეცა ჟამად, თთვე, წელიწადი, და საუკუნოცა. განა თუცა მოქცევის ესენი, არამედ არა იგინივე რომელნი წარხდენ ჩვენგან, და არა ძალ-გუცს მის წინანდელთაებრ ეოფად მათ შინა რაოდენცა წადიერ ვიუენეთ: და ესე ვინაფთგან ჭეშმარიტ არს, ამისთვის არა ჯერ არს რათა უქმ ვიუთ ჟამი და განუტეოთ ჩვენგან, და დავუთეთ ურგებნი მის მიერ: არამედ რად მოგუცემს ნაყოფსა მისსა. თუ შევიკრიბოთ საუნჯე დიდძალი, წარვალს და არა დაადგრების ერთისაცა საუკუნოსად. ხოლო უკეთუ ¹⁾ ვიუთ სასელნი, და დავიპურათ ქვეყნანი, ვითარცა მაკედონელ-მან

¹⁾ L'auteur écrit toujours უკეთუ, par désir d'archaïsme, car dans les plus vieux manuscrits on lit უკუთუ; mais de ces deux formes, la seconde est entièrement tombée en désuétude, et l'autre n'a jamais été suivie par personne.

და სსჭათა, არცა ესე დაადგრეს, არამედ წარწემდეს მასვე წინათ-თქმულთავე დროსა. უკეთუ აღვაშენოთ სახლნი და ვჭეოთ ქვეყანის-მოქმედებანი, და განვაშენოთ სავარდისა, და წაღვოტითა, და წელითა აღმა აღმცენარითა, და წყაროებითა, წარწემდეს ივინიცა მასვე ხანებთა შინა. უკეთუ განვი-სვენოთ და განსცხრეთ შებობთა, ნადირობითა, ნადიმობითა, მგოსნითა და მწეობრითა, და სახიობითა, მამანი-დედათა-თანა, და დედანი მამათა-თანა, წარვიდეს ესეცა უადრევეს თთხსა, დღისა და ჟამისა. ხოლო უკეთუ შივივოტადეთ მეცნიერებისა მიმართ, და ესე არს ნაყოფი კეთილი, არამედ წარვალს ესეცა, და არა ვითარცა წინათ-თქმულნი ივინი. რამეთუ სწავლა განაბრობს, თავის-უფალ ჭეოფს, აცნობებს ღმერთსა, და შიშა მისსა დანერტავს, აღაცურეებს ზღუასა-მას შინა სრულიადსა, აღაფრენს და წინა-დაუდებს ყოველსა ქმნულებსა ცისა და ქვეყანისასა, შეკრებულად თუბლთა შინა ასვენებს ბუნებასა და ნიმატსა ვარსკულაფთა, ცხოველთა და ნერგთა. განსდევნის ბოროტსა, შეაუწარებს მოეუასსა, შე-მოიუწანს კეთილსა, მატებს ქვეყანასა, აღაშენებს და დაამშვიდებს, სულ-გრძელ ჭეოფს, შეფეთა და დიდებულთა ჰატევის-ცემს, და ერთა მოურნე ექმნების. მტერთა დაამდაბლებს და მშიშრულ ჭეოფს, თხსთა აღამაღლებს და აკადნიერებს: არამედ რაღასაგანმე არს ეს-ოდენი კეთილი, გარნა არს არა-თუ ხსოვნისა-გან. არამედ ხსოვნაცა ესე წარწემდეს სამისა, ანუ ოთხისა, და უფროჲს სუთისადმდე ნათესავისა, და ამის-თხს ვინილავთ უძობესად წერილთა რომელი გუასწავებს საბრძნეთა წინათ-თქმულთა, და მოგუასსენებს დასაბამითგანთა წამთა, ჟამთა, თთვეთა და წელიწადთა, და საუკუნოთა, კვალად უმეტესთაცა, და არა წარწემდების, არამედ ჭკეის უკუნისამდე, ვითარცა ვინილავთ: რამეთუ აღწერა მოსემ ღუთის-მხილველ-

მან შესაქმე, შემდგომად სუთისა კსოვინისა, სულითა წმიდითა, ვინად-გან არღა-რბ შესაძლებელ იყო შემდგომად კსოვინად, და გვეუწუების დასაბა-მითგანი, სრულიად: და უკეთუ არა მით, წარწმდა ეოველი ქმნულება-ნი, ვითარცა წარწმდეს მრავალნი დიდ-შემქმენი: ხოლო წერილნი ესე მოგჭყემენ ნაყოფსა ჟამისასა, და არა-თუ ხოლო ჟამისასა, არამედ სრულადსა მოსსენებასა, რომელი აღაფრენს გონებასა ღმერთისა მიმართ, და მოგჭანჩუებს ეოველთა წინა-თქმულთა ცნობასა, კელოვნებასა და გემოცდილებასა, ვითარცა იტყვის იგივე ზღინი სტოიკი. „არა არს არცა ერთი ეგრეთი წიგნი, რომლისა რაჟმე მის-გან ნაწილი სარგებლისა არა მოვიდოთ.“ და უკეთუ ესრეთ, და რა-ოდენსე სამღრთონი წერილნი, რომელნი მოგჭყემენ მადლსა სეცვისასა, და მოგჭმადლებენ სოფლისა კეთილობასა, და შემდგომად აღგვიტაცებს წინაშე ქრისტეს ღუთისა ჩვენისა:

ხოლო კვლად წიგნი ფილასოფოსთა მიერ ქმნულნი, აღგუთავსებენ სიბრძნითა, კელოვნებითა და სიკუვიერებითა. გუთაცნობებენ თავსა, და გუთსწავებენ ვითარ ჯერ არს ცხოვრებად, და მიღტოლვილ გუთოვს ღუთისა მიმართ: კვლად მატანსე მოგუთხსენებს ქმნულებასა და ეოფათა მუყუათა, მთავართა და დიდებულთა, ვიდრე მცირედმდე, ვითარებათა მათთა, განგუთპორებს ბოროტსა, და შეგუთრთავს კეთილსა: ხოლო წიგნი დედაბერებული სიდაპართა, განა-თუ არა არს მონასსენებელ, არამედ იციცა აღსინებს ოდესმე, და გონიერი მოისთლობს მის-განცა ნაყოფსა: ვითარცა იტყვის დამსკელი იოანე, წიგნსა და თავსა იც. „ამის-თჯს ჯერ არს რათა ვიკითხვიდეთ წიგნთა, რამეთუ მის მიერ მოვისთლობთ სულითა ნაყოფსა: და უკეთუცა ვერ შევიგნოთ, კვლადცა ჯერ არს კითხუბად და არა უგულებელს ეოფად. რამეთუ ვსცნობთ მის მიერვე, და არა-თუ

საღიბობა, არამედ გარეშენიცა არა არიან განსაგდებელნი. რათა უძჯობენი მისნიცა შევიკრიბოთ, ხოლო უჯერონი ძაღლთა მიუჭერთა:“

განა თუცა არს ეს-ოდენ კეთილობანი მის მიერ, არამედ უგულვებელნი იქმნებიან და საგმობელ ვიეთა-განსე. განა ესრეთთა არა ჯერ არს რიცხუად, არამედ მეცნიერთა-განცა დატყვებულ იქმნებიან, მისესითა უცალოებისათა. და არა-თუ უცალოებითა, არამედ უტრფიალობითა წერილისათა, და კინძა საზოგადო მსიად არს ტრფიალი ათ-ასთა-შინანი ერთ: რომლისა-თუც მკითხველთა მიუგებდა სოკრატ ბრძენი, ოდეს ჰკითხვიდენ. „რასა-თუც არა რადჲე სიბრძნისა წარსწერე.“ მიუგო სოკრატ. „ამის-თუც ვინაღ-გან ვხედავ რამეთუ ქალაღდი უძვირეს არს ვიდრეა წერილი:“ ხოლო უკეთუ ქალაღდი უძვირეს არს, აწცა რადღა სასმარ არს შრომა და წერა, ვინათ-გან ჩანს მის-გამო რამეთუ არს წიგნი უზატო:

არამედ ჩვენ ვისმინოთ დამასკელისა თქმული, და ჰლინი სტოიკის სიტყუა, ვინათ-გან არა განსაგდებელ არს გარეშენიცა წიგნი, და ვითარისა უჯეროსა-განცა მოვიკებთ სარგებელსა. რადგენით უძჯობეს არს რომელიცა წარმოვსთქვით მათნი კითხუანი, და რა-ოდენ სასარგებლო და შესაწენარებელ არს წიგნი მატანეთა: რომლისა-თუც იტყუეს ბრძენი ციცერონ. „უკეთესა ეოველი ღუთის-მეტყველება, ფილასოფია, ფიზიკა და რიტორებანი შევიკრძალოთ, და არა მატანენი ბუნებისანი, ნერვთა და ცხოველთა, ვერა რადჲე შევიკრძნათ:“ რამეთუ მატანე მოგუხანსენებს დასაბამითგანსა კამისა, წელსა და საუკუნოსა, მატანე განარჩევს კეთილსა და ბოროტსა. მატანე აღმაღლებს კეთილის ქმნულებასა, და ჰკმობს უკეთურთ ქმნულებასა. მატანე მეტყველებს ჰემდარტსა, და არა სცდის და მოწმობს სსუათა და სსუათა. მატანე განამკნობს კაცსა, და ერთ-გულ

ჭეოფს ქვეყანისად. მატინე აცნობებს ნათესავთ შთამომავლობასა, და დასდებს თავსა სარწმუნოებისათჳს, და მოეჭურულ ჭეოფს მოეჭასსა მოეჭისისა მიძართ:

არამედ ესე მატინე განიყოფების ოთხ წილად. ადგილის აღწერად, ნათესავთ მეტყველებად, წლის მრიცხველობად და მოქმედებისა აღწერად: და ესეცა განიყოფების ორად. საეკლესიოდ, და სამოქალაქოდ: საეკლესიოდ არს წმიდათა ცხოვრება, და ქმნულებანი. ხოლო სამოქალაქო, ქმნულება სოფელსაშინათა ¹⁾, დიდთა და მცირეთა. არამედ ვინათჳან ესენი კეთილობანი მას შინა მოიპოებიან, არა არს განსაგდებელი, არა-თუ უმეცართა მიერ, გარნა სურვილით შეტებობა: ხოლო უკეთუ ჩვენ ქართველთა მატინე შემოიპყრობს სამსა-მას წილსა მატინისასა, არამედ წლის მრიცხველობასა და ნათესავ-მეტყველებასა მცირეთ, ხოლო მოქმედების აღწერასა განაგრცვლებს. განა ამასაც უკლესის მატინეს შემოკლებს, და სამოქალაქოსა მოგვითხრობს შესხმით და ვრცლად, ადგილით-ადგილად, და ოდესმე შემოკლებით, ნოედამ ვიდრე ბრწეინვალის მეფის გიორგისამდე. ხოლო შრომა ჩვენი ამის-თჳს არს, ვინათჳან ორნი წილნი ივინი გამოუჩენელ არიან, რათა გამოვაცხადოთ, და შესამისა განაგრცვლებული შევამოკლოთ, რათა მკითხველთა არა საწყინოდ და აღრე საცნობელი იყოს:

ხოლო მოქმედი ვევედრებით, უკეთუ ვისმე სნდთეს კითხვად, რათა არა შემოვიდეს მრისხანებით და შურათა. რამეთუ მრისხანება განსდევნის სასჯელსა, და შური დაუტყვებს კეთილობასა. არამედ აღიძალლოს გონებისა თჳალი სიწრფოებით, ვითარცა ორბ-მან, რომელი ცრფიადლებით

¹⁾ L'auteur écrit შინანი.

აღვალს, რათა განახილოს სრულიადი ქვეყნის შევნიერება, და ეს-
ოდენს სიძაღლესა ზედა, რომელ ყოველსა სოფელსა გუგათა შინა შემო-
იკრეფს, არამედ ამისი მოქმედი და უგონებელი განახლდების, და კვა-
ლად განჭაბუკდებისცა. ეგრეთვე უსაკველი მკითხველი ჰსცნობს შრომა-
სა ჩვენსა და არა სავსებელ ჰყოფს, და მიიღებს მიზლსა წადიერები-
სასა: ესე-გითარცა ვაძინებთ მოქმედნი, რათა გონიერად ისმინოს თქმუ-
ლი ჩვენი. რამეთუ ვინათ-გან დავისახსენით ქარტა ანუ რუკანი საქართვე-
ლოსა ანუ ივერიისანი, რომელსა ხაზვიდნენ მცირედ და არა ჯეროვანად,
და ჩვენ სრულიადი წინა-დავდეგით: განა ამისდა ჯერ იყო საძქირნოთ
რათა აქენდეს დეოდრაფიის აღწერისადა დადება, რომელ არს ქვეყნისა
შხაზველობა, რომელი იგიცა ვქმენით: და კვალად მისდაცა ჯერ იყო
მოკლე მატიანე, რათა მკითხველთა სცნან ვის-გან ქმნულ არიან ქმნუ-
ლებანი, და მეფენი და მთავარნი, და მათმისანი კეთილნი და ბორო-
ტნი, არა-თუ დატევიებულ იქმნას მატიანე-იგი. არამედ იგივე უძჯობეს
სივრცელე, და ამის განმარტლებისა-თჳს. ხოლო ესე სიმოკლისა და
რომლისად აღვსწერეთ სახმარად მისდა:

გარსა უწეება ჯერ არს, უკეთუ ცხოვრებისა ჩვენისა ქორონიკონსი
არიან იშვით. არამედ ნოეღამ მირიანისამდე რა-ოდენსი მოიპოებინან უძე-
ტეს მოწმობენ რომაულსა, ხოლო მირიანიღამ ბაგრატოვანამდე, ბერ-
ძნულსა. და მას ქვეითნი, თამარ მეფისამდე, არიან ხუთასიანი, რო-
მელსა ჩვენ უწოდებთ ქართულსა, და ჩვენცა ეგრეთვე შემოწმებულ ჩვენთა
ცხოვრებათა ზედა ვქმენით. ხოლო თამართ-გან ბრწუნივალის გიორგი-
სამდე კვალად უწინო: არამედ ვინათ-გან მცირედად და უწინო არს,
სეთით და ქვეითი ქორონიკონსი, ჩვენ ვითარ ვწავეთ წარმოვანინოთ,

ზმითა ურწმუნოთათჳს: რამეთუ ნოდამ ნებროთის გაბეჭებადჳ საჩი-
 ნო არს დაბადებისა-გან. ხოლო ნებროთ რა-ოდენი წელი იძუა და
 მოკუდა, იხილვების სხვათა მატანეთა-გან, რომელნი მოწმობენ ზენთა
 მატანეთა: ხოლო მას ქვეითნი, კერძთათაუვანის-ცეისა და მოსეს ზღვის
 გამოსლვა, დაბადებისა-განვე. სხვანი, სპარსთა მეფეთა, და ნაბუქოდორ-
 სესა, და ალექსანდრე მაკედონელისათი ვზოვეთ: ხოლო ვინათ-გან ალექსან-
 დრეს მოსლვა ქართლსა შინა მოვიზოვეთ, ამით ადვილ გვექმნა გამეფება
 ფარნაოზ ჰირველისა მეფისა, ვინათ-გან მოსლვასა ალექსანდრესასა, რა-
 ოდენის წლისა იყო, და რა-ოდენისა გამეფდა, და რა-ოდენ წელ იძუა მუნვე
 წერილ არს: და მის შემდგომად მეფენი, ასურულთა მეფეთა მოწმობითა,
 ვითარცა მოიხსენებს მუნავე სასელებთა, ვიდრე ადერკის მეფობადმდე:
 ხოლო ადერკის მეფობა იქმნა ჰირველსა წელსა შობისა ქრისტესსა, და
 მეფობაცა მისა ცხად არს. არამედ მას ქვეითნი მეფენი, მირიანისამდე,
 კეისართა, სპარსთა და სომეხთა მეფეთა-გან მოწმობითა დავსენით:
 ხოლო მირიანის მეფობისა ჰირველი ქრისტეს მიერ მოქცევისა, და
 შემდგომად მოქცევის წელნი, ვინათ-გან წერილ არს მის-თჳს დღე მო-
 ქცევისა, კ ივლისის დღე, შაბათი, ეს ვზოვეთ, რომელი არს. ერთი,
 ქრისტესით ტვ. ქართული ნტ. მეორე, ქრისტესით ტიზ: ქართული
 ეთ. და მესამე, ტვდ. ქართული ოვ. რომელნი შეეცევიან მას: არა-
 მედ ჰირველი-იგი არა არს დღე-იგი მოქცევისა. რამეთუ კოსტანტინე
 დიდი ჯერეთ არა იყო მოქცეულ ქრისტეს მიმართ, და არცა დაეპურა
 რომი და სრულიადი მეფობა: რამეთუ წერილ არს მირიან ერნახ
 ოთხთა წარჩინებულთა თჳსთა კერძთ-მსახურებისათჳს. „უკეთუ არა და-
 უტეოს ნანა დედოფალ-მანცა სჯული რომთა, ვსტანჯო ივაცა.“ რამე-

თუ უკეთუ მოუქცევდნენ იყო კოსტანტინე, არა ახსენებდა სჯულსა რომათსა. ვინათ-გან სჯული რომთა კერძივე იყო, და ნინო ქრისტეს ჭქა-დაგებდა: კვალად შესამეცა არა არს, რამეთუ ერთის წლის შემდგომად იყო კრება ნიკიური ჰირველი. არამედ ნიკიის კრებისა-გან უწინარეს იყო მიქცევა მირიანისა, ვითარცა ვინილავთ ცხოვრებასა შინა სახინოთ: ხოლო მეორე-ივი ჭქმობრიტებს, ამის-თჳს რამეთუ კოსტანტინეს სუთის წლის წინარე დაეჯერა რომი და სრულიადი მეფობა, და ქრისტესანეცა ქმრულ იყო. ვინათ-გან მირიან რომისავე ¹⁾ მეფობასა შინა მიუვლინა მთხოველი ეპისკოპოსისა და მღუდლისა: რამეთუ არა დაწეებულ იყო ბიზინტია აღსაშენებლად, ვითარცა ვინილავთ წერილებთა შინა ჩვენთა, და მას ჟამსა სილივიუსტროცა სცოცხლებდა, რომელ-მან მოაჟღინა დი-აკონი თჳსი:

ხოლო ნინოს სიკუდლიის ქორონიკონი არა არს ურთიერთის მოწმობილი, ვითარცა თამარ მეფისა, რომელი წარმოვანინოთ თჳსსა ადგილსა. რამეთუ უკეთუცა ქრისტეს-აქათი ქორონიკონი ქრისტეს ჯუარ-ცმიდამ იყო ტლც, ჯერ იყო დასაბამითგანი ყოფილ იყო ჭყდ. და უკეთუ დასაბამითგანი იყო ჭყლც, ჯერ იყო ქრისტეს-აქათი ჯუარ-ცმიდამ ყოფილ იყო ტლ. არამედ არცადა ჟამსა ამას კოსტანტინე სცოცხლებდა, არამედ მეცათომილ არს მწერალთა-გან: ხოლო ჩვენ ვინათ-გან ვპოვეთ მირიანის მიქცევისა იგი დღე, აღმოჩენითა-მით, ამას სედა აღვრიცხვეთ მოსლვა ნინასა მცხეთას, რომელ-მან დაჭყო წელი იდ, ამის-გან საში წელი უწი-

¹⁾ წელთა ქრისტესსა 306, მოკუდა კოსტა, მამა კოსტანტინესი, და იქმნა კოსტანტინე კეისარი. 307, მოკუდა მაქსიმიან-ლერკული, იქმნა კოსტანტინე აკგუსტი. 311, მოკუდა მაქსიმიან-ლალკონი, და 312, რომს მიმკვდის კოსტანტინეს გამოუნდა ჯუარი ცაში, და იქმნა ქრისტესანე, სძლო და მოკვალა მაქსენტი, დაიპყრა ჭრომი და სრულიად კეისრობა ვითარცა ქსწერს ბარონისა:

ნარეს მოქცევისა იყო მცხეთას ქალაქსა შინა. რომლისა-გან დაძმების ია წელი: ეს მირიანის მოქცევის წელს დაუადევით, რომელი იქმნების ქორონიკონი ჩვენ მიერ აღწერილი: არამედ ნაკლულევენებს მუნ წერილისა-გან ესე დასაბამითგანსა ორის წლითა. ხოლო ქრისტესაქათსა, ი წლითა, და სსჟანი მირიანის მეფობის წელნი მითვე რიცხუულ ვუყენით და აღვსწერენით:

ხოლო ბაქარიდამ ვარსა-ბაქარისამდე, ეგრეთვე კეისართა და სომეხთა მეფეთა შემოწმებით ვუყენით: არამედ ვარსა-ბაქარ მცირე თეოდოსისაჲსაჲსა არა არს, რამეთუ ვარსა-ბაქარ დიდის თეოდოსის ჟამს იყო, და ძე მისი მირვანოს მცირე თეოდოსის ჟამსა: ესე იცნობის ესრეთ. ვინათ-გან ერმა წარიყვანეს მურვანოს, და მუნ აღიზარდა მოღუაწებით. და შემდგომად განივლტო და მოსაზონ იქმნა: კვალად უკეთუცა ესრეთ არ იუოს, წელი მირიანიდამ მეორეს ფარსმანისამდე წერილი არა მისწოდების, და არცა ვახტანგ ლეონ კეისრის ჟამსა იქმნების. ესრეთ უსწორო არს: ხოლო ესე განასწორებს და რიგოვან ჰყოფს რიცხუსა წელთასა მოწმობულებითა:

კვალად ვახტანგისამდე მეფენი რომელნი მუნ წერილ არიან, რამეთუ ვახტანგისამდე მირიანიდამ გარდასდენო წელი რს. ესე არა მდე 1) არს, არამედ სიკუდიდმდე ვახტანგისა, და ამა-ზედ შევასწორეთ. რამეთუ დაღაცათუ გარდაცუბალებადმდე არა იუოს, ყოველნი სსჟანი უსწორო იქმნებიან, და არცა იგი წელი მეორეს ფარსმანისამდე სწორე იქმნების, ვინათ-გან ვახტანგის შემდგომთა მეფეთა მეფობის წელი წერილ არიან: არამედ ჩვენის

1) მდე n'est pas un mot géorgien, mais une finale inséparable, signifiant *jusqu'à*; je le laisse pourtant, parce qu'on devine l'intention de l'auteur, qui a bien pu faire exprès ce barbarisme pour plus de brièveté.

რიცხვით, რათა ჭეშმარიტი იყოს ს წელი, მირიანიდამ ვახტანგის ეარდა-
ცუბლებამდე, წელი იგივე არიან, რს: ესრეთ ჭეშმარიტ სხუათა მება-
ტინათა მოწმობითა და მუნ წერლითა რიცხვითა, და მეფენიცა ამას
ხედა განვასწორენით, კეისართა და სწარსთა მეფეთა შეთანასწორებითა
ვახტანგისამდე:

არამედ ლეონ კეისრისას ვინამენი მებატინენი სწერენ, მ წელს
მეფობასა მისსა, და ჩვენიცა მათ ემოწმების. რომლისათუხ ჩვენცა ეგ-
რეთვე ვუვებით და შეთანავასწორეთ ვახტანგის და ლეონის მეფობა: ხო-
ლო სსტანი ათ-შვიდ-მეტსა წელსა ამტკიცებენ ლეონის მეფობასა, რა-
მელი არცა ესე არს წინააღმდეგომ მისსა: დადაცათუ არა იყო ლეონ
დიდი, არამედ მეორე ლეონცა იგივე აღწერა ჩვენ-მან ცხოვრება-მან, და
სენონცა იგივე. და შემდგომად სწარსთა მეფისა ბრძოლასა ზედა სენო-
ნად წარმოაჩინა სიეჭარულისა-თუხ: განა სსტანს ქართლის ცხოვრება-
ში უსახელოდ კეისარი სწერია. ამითი იქმნება ანასტასი კეისარი, ვი-
თარცა ვიუწეებთ: ხოლო ვახტანგის შემდგომნი მეფენი რა-ოდენთა წელი-
თა მეფობდენ ცხად არიან ვიდრე მეორის ფარსმანისამდე, და ქმნული
ესე ჩენი ჭეშმარიტ არს, ს წელი შესრულებული მირიანიდამ ფარ-
სმანისამდე:

კვალად ბაკურ მეფიადამ, გურამ კურატვალატისამდე საჩინო არს კე-
ისრის ძავრიკისა-გან, და სწარსთ მეფის ურმუსისა, და მისა მისისა
კოსროსა-გან: ხოლო დავით წინასწარმეტყველის ნათესავის გურამის
მოსლვა, ცხოვრება და გამეფება მათი აღვსწერეთ თუხს ადგილს,
მით იუწეების: ხოლო სტეფანოსის გურამ კურატვალატის მისა, ერე-
კლეს კეისრისა გამო, და ადარნასე კოსროფანისა ეგრეთვე: განა ვი-

ნათ-გან ჟამსა აღარნასესასა და ერეკლეოს კეისრისასა გამოჩნდა მანქანად, მოძღუარი სარკინოსთა, ჩვენ იგი მანქანდის ქორონიკონი ვაზოკეთ, რა-ოდენი ქრისტესაქთი უოფილ არს. ამის მიერ და წლის მრისცხველობით ვიდრე მოწამის არჩილ მეფის სიკუდილისამდე, და მეთა მისთა იოვანეს და ჯუანშერის სიკუდილისამდე, და ვიდრე ამოტ კურატალატისა მისა ბაგრატიისამდე, რომლის გამეფება წერილ არს, რამეთუ მანქანდის გამოჩინებდამ ბაგრატიის გამეფებამდე, გარდასრულ იუწუნე წელიწადი სით. ამას უედა შევასწორენით აღარნასეადამ ბაგრატიისამდე გარდამსდარნი წელიწადი სით:

ხოლო ამოტ კურატალატადამ ვიდრე თამარის მეფობამდე, წერილ არს უოველთა ქართულნი ქორონიკონნი, და ამით გამოვრიცხეთ ქრისტესაქთინიცა: არამედ დავით აღმაშენებელისა წერილ არს, ივ წლისა მეფე იქმნა, და ლვ წელი იმეფა, რომელი იქმნების ნბ წელი. განა მუნჯეუ წერილ არს, ივ წლისა გამეფდა და სს-სა მოკუდა. ამ რიცხვით იქმნების მეფობისა მისისა წელი მა. და სვენც ესევე აღვსწერეთ, ვინათ-გან სსჯათა მეფეთა ქორონიკონნი ამას უმეტეს მოწმობენ: და სიკუდილის დღე შაბათი, იანუარი კდ, ეს ქორონიკონი იქმნების რომელი დავსდევით:

კვალად თამარის გამეფების ქორონიკონი არა არს შეთქმული. რამეთუ წერილ არს, დასაბამითგანი იყო სქავ. ქრისტესი ჩრხვ: ხოლო უკეთეს დასაბამითგანი იგი იყო, ჯერ იყო რათა ქრისტესი უოფილიცა იყო ჩროც. და თუცა ქრისტესი ჩრხვ იყო, დასაბამითგანი ჯერ იყო უოფად. სქად. ესრეთ არა ჭეშმარიტებს: ხოლო ჩვენ აღექსი ანგა არისა, და ფრანკთა-გან კოსთანტინეპოლის აღების ქორონიკონი ვაზოკეთ, მით მათ სეითი და მას ქვეითი მუნვე წერილის წლის რიცხვე-

ულეებით ვეყენით, რომელსა სწერს, იც ველს ლაშას გამეფებას, და თამარის კდ წლის მეფობის აღმავლობას, და მისი სიკეთილის ქორონიკოსსა შედა, რომელი ვაზვეთ, ვვათ:

ხოლო მისა თამარის ლაშას სიკეთილი იქმნა იანვარს იც, დღესა ოთხ-შაბათსა, ესე ვაზვეთ, რომელია. ჰირველი, ქრისტესა-ქათი, ჩსია. ქართული, ულა. მეორე ქრისტესი ჩსივ, ქართული, ულვ: არამედ ვინათ-გან ჩინგის-ეყენ-მან დაიწერა სრულიად დიდი თათარი ქორონიკოსსა ქრისტესით ჩსბ, და ამ ქაშებთა შინა წარმოავლინა სწანი განმსტრობად, და დავით მცირე ერმა დაძთა ლაშას, და რუსუდანის მეფობის წელი მუნავე წერილითა აღვრიცხეთ. ამის-თვს ჰირველი უმეტეს მოწმობილი არს, და არცა შექმირნებულ ჰყოფს მას ქვეითთა მეფეთა წელსა, ჩვენცა იგივე აღვსწერეთ, განმართლებინათვს წერილთასა:

აკვლად ლაშადმ, დიმიტრი თავ-დადებულისამდე, აღრიცხვითა წელთა და მეფეთა, კეისართა მუნ წერილთათა, გვიქმნიეს: ხოლო დიმიტრი თავ-დადებულისა დაღათე არა წერილ-არს წელი, არამედ წერილ არს თთვის რიცხვი, და დღე შაბათი, მარხვისა მესამე, ამით ვაზვეთ წელიცა იგი, რომელი ეოფილ არს ქრისტესი ჩსწთ, ქართული ფთ: ხოლო მეორე, ქრისტესი ჩტ, ქართული ფკ. და თვინიერ ამისსა, არა არს სხვა: არამედ ჩვენ ვაზვეთ ბრწყინვალე გიორგისა და მის ძისა მისისა ბავრატის ქორონიკოსი მველთა ქორონიკებთა შინა, და ამით გულ-დებულ ვიქმენით ლანქთემურის და კონთქრებთა-გან, და რიცხვეულ ვვათ ვასტანგისა და დავითისა, ვასტანგისა და გიორგის, დავითის ძის, მეფობანი. ამის-თვის იგივე ჰირველი გვექმნებოდა და დავსდევით: ხოლო მეორე ესე ფრიად შეაძქირვებს მათ მეფეთა წელსა, და არა სწორ-რიცხვეულ ჰყოფს: ხო-

ლო კვალად ვასტანგ, წარინ-დავითის ძისა, დავით მეფისა, და ვასტანგ, შისა მისისა, წელნი აღვრცხვენით მათთა შეფობათათა და მით წარმოვაჩინებით: არამედ ვასტანგის აღსასრული დაღაცათუ არა სსაინო არს, გარნა იცნობის ესრეთ, რომელნი აღვევიწერია:

ხოლო გიორგისა და ბრწყინვალე გიორგი, რომელიცა წარმოვაჩინეთ სცნობს გონიერი მუნ წერილსა ზედა-ქვეთა, რამეთუ ესრეთ არიან. ვინათ-გან სწერს, დაუტკევა დავით მეფე-მან მე თუხი გიორგი, წლისა ორისა მეფე ქმნული: და მცირე გიორგის, რომელსა მოისსენებს, თუცა ზირველ მეფობასა მცირე იყო, არამედ აწ არღა-რან, წელთა რიცხვისა წარმოჩინთა. ამის გამო გიორგი დავითის მე სსუა არს, და დიმიტრის მე სსუა: არამედ სიკრძე წელიწადებთა ოღჯათ-ეყენის გამო, რამეთუ მან ოღჯათ-ეყენ-მან იგ წელი ექენს, და ამ წელთა აღრცხვითა იქმნებიან ესე ორნი გიორგი ესრეთ: ხოლო შემდგომად ბრწყინვალე გიორგისა მოვისსენოთ თუხსა ადგილსა ჯეროვანად:

განა სცნობს ბემომსლველნი ამას შინა კითხვისად უსაკველობით, რამეთუ არა რადმე თნებისა, ანუ თჳალთ-ღებით წარგვიწერიეს, არამედ შემღება ჩვენი ეს-ოდენ იყო, და ესრეთ მიწდომილ ვიქმნებით: ხოლო უკეთუ უმჯობესი ვისმე ძალ-ციცთ, ჩვენი ესე თქმული არა დამაყენებელ არიან, ვინათ-გან დედანი იგი მატანისა შეურუეველად ჰკიცეს, არა ერთი, არამედ მრავალი: განა შრომა ჩვენი არა მცირე იყო, რომელსა ზედა ვიშრომეთ კინღა წელნი სსამნი, მარადის წერთა, გამოძიებთა მატანებთა, და ცხოვრებთა მიებთა. რამეთუ არა დაუტკევეთ სონოღროფნი ბერძნისა, არა-თუ ერთისა ვირწმუნებით, არამედ სსუათა და სსუათა შემოწმებთა: ვერეთვე განურჩილობისა შემდგომად, რომაულთა კეისართა-

გან, მეფეთა ევროპიელთა, აწინდელთა სულტნებთა სტამბოლისათა, სწარ-
სთა მეფეთა შინათა განოვიპოვეთ, შემოწმებულად ვქმენით, რომელნი
მოწმობენ ჩვენთა მატანეთა და ქორონიკონებთა. ამისთჳს სწარწმ-
ნო ვართ, რომელმან იხილოს მრომანი ჩვენნი არა სავკობელ გუეოს,
არაჲდ მადრიელ იქმენს, და მისცეს ლოცუბა მიზდისა მოქმედსა: დაღა-
თუ არა იქმნას ესე, ჩვენ სურვიელ ვართ აღსრულებად წმდიხა დამასკე-
ლის თქმულისა, და ჰლინი სტოიკის სიტკუვისა, რათა არა განვლოთ
ჟამი უქმობით, რომელ არღა მოვიდოთ ნაუოფნი სარგონი მისძიერნი,
და თქვენდაცა წინა-მდებარედ გვიქმნიეს. უკეთუ ვის ცინდესთ ძიილოთ,
უკეთუ არა, არა არს ძალი, არაჲდ უმჯობესისა ჩვენება, და რომელ-
მანცა აღიწიოს იგი ჰქოს, ძაღლითა და კაცთ-მოუწარებთა ღმერთი-
სათა, მამისა, და ძისა, და სულისა წმდიხათა. ამინ:

სოლო სრულ იქმნა შრომა ესე ქრისტესაქეთა ქორონიკონისა წლისსა ჩემუ, ქარიულ-
სა უღკ, ოკლახბურსა კ, მეფის შვილის ვახუშტის მიერ, სამეუფოსა ქალაქის მასკოვის
პრესისა:

ქ ა რ თ ლ ი ს . ც ხ ო ვ რ ე ბ ა :

ზატოასანსო და დიდებულსო ქართველსო, ჟამთა ვითარებისა-გან ქართლის ცხოვრებას განრუენილ იყო, რომელიმე მწერალთა მიერ და რომელიმე ჟამთა ვითარებისა-გან, არღა-რს წერებულ იყო: ხოლო მეხუთე-მან ვახტანგ, მე-მან ლეონისა-მან და მძის წულ-მან სასწავლოვის გიორგისა-მან, შეკრიბნა მეცნიერნი კაცნი და მოიკვანა, საც რამ ქართლის ცხოვრებები ჰოვნა, და კჳაზად გუჯარნი მცხეთისანი, გელათისანი და მრავალთა ეკკლესიათა და დიდებულთანი, და შეამოწმეს, და რომელი განრუენილ იყო განმართეს, და სხვადა წყრილნი მოიხრეს, რომელიმე სომეხთა და სხარსთა ცხოვრებისა-გან გამოხვნეს, და ესრეთ აღაწერინეს: ¹⁾

პირქელად ვაცხენით ესრეთ, რამეთუ სომეხთა და ქარიზელთა, რანთა და მოვანელთა, სერთა და ლეკთა, შერელთა და კაკასიანთა, ამათ ვოველთა ერთი იყო მამა, სასკელათ თარგამოს ²⁾: ესე თარგამოს იყო ძე თარშისა, მისა ავანანისა ³⁾, მისა იაფუკისა, მისა სოქსა: და იყო ესე თარგამოს კაცი გმირი: და შემდგომად განდოვიზა ესათასა, ოდეს აღაშენა ⁴⁾ სეროთ ბაბილოანს გოდოლი და

¹⁾ Cette espèce d'introduction se trouve dans toutes les copies que j'ai vues, et même dans le M-it du Tsarévitch Théimouraz, qui servira de base à notre texte; mais ici tout le premier feuillet est d'une autre main que le reste, ce qui permet d'en nier l'antiquité. — Les notes géorgiennes que l'on verra au bas du texte font également partie du M-it; quand j'en insérerai d'autres, j'en ferai connaître l'origine.

²⁾ ადამს აქვთ, მას წელს უკან, აშუა სოჯ, და შემდგომად ქ წელს იყო წელითარგამოს. «Noé naquit 1240 ans après Adam; 600 ans après eut lieu le déluge.»

³⁾ Autres M-its, ვარსა.

⁴⁾ ადამს აქვთ წელითარგამოს უკან იყო სეროთ. «Nebroth parut 1796 ans après Adam.»

განკუთხეს მუნ ენანი, და განისინეს მუხით ყოველსა ქუჭქანასა. წარვიდა ესე თარგამოს ნათესაიყოთი მისით, და დაიკვიდრა ართა-მთ მათა შორის კაცთა შუალსა, არარატსა ¹⁾ და მასისსა ²⁾. და იყო ნათესავი მისი დიდი და ურიცხვი, რამეთუ ესნეს ცოლ-მსავად, ქინი და ასულნი, შუღნი და შუღის-შუღნი ძეთა და ასულთა მისთანი. რამეთუ ცხოვრდა იგი ქუჭქან-ას წელ, და ვერღარა იტყვდა ქუჭქანსა ³⁾ არარატისა და მასისისა: ქუჭქან-იგი რომელი წილით სდომოდა, ესე არს საზღუარი ქუჭქანის მისისა. აღმოსავლით, ზღუა გურგანისა, რომელსა აწ გილანის ზღუად სახელ-სდებენ. დასავლით, ზღუა ჰონტოხა, რომელსა აწ შავ-ზღუად სახელ-სდებენ. სამხრით, მთა არუიხა, რომელ არს ქუჭქანასა, პირის-პირ მიდისა ⁴⁾. ჩრდილოთ, მთა კაკასია, რომელსა სპარსნი იაღბუზს უწოდენ:

ხოლო შუღთა-გან თარგამოსითა, გამოხნდეს კაცთა რუანი, გმირსი ძლიერნი, და სახელოვანნი, რომელთა სახელები ესე არს. პირუჭღსა ერქუა ჰაოს. მეორესა, ქაროლოს. მესამესა, ბარდოს. მეოთხესა, მოჯავს. მესუთესა, ლეკოს. მეექვსესა, ტეროს. მეშვიდესა, კაკას. მერვესა, ეკროს: ესე რუანი იუქნეს გმირნი, ხოლო ჰაოს უმეტესი გმირი იყო ყოველთასა. რამეთუ კუკვიითრი არა-ოდეს უფად იყო არცა წყლის-რღვის წისთ, არცა შემდგომად, ტანითა, ძალითა ² და ხიმენითა: ხოლო ვერღარა იტყვდა ქუჭქანსა არარატისა და მასისისა. განუყო თარგამას ქუჭქანსა და ნათესავი თვისი რუთა ამთ გმირთა. ნასკუარი ნათესავისა მისისა ⁵⁾, და ნასკუარი და უმჯომესა ქუჭქანისა მისისა, მისცა ჰაოსს. ხოლო შუღთა ამთ მისცა სევერი მათი, არძანების-ებრ მათისა. წარმოიქმნა შვიდნი იგი ჩრდილოთ კერძო და განუქუნსა ქუჭქანსა ღირსების-ებრ მათისა: მისცა ქაროლოსს, და უსინა საზღუარი. აღმოსავლით, ტერეთი და მდინარე ბერდუჯისა ⁶⁾. დასავლით, ზღუა ჰონტოხის, სამხრით, მთა რომელი მიჯუკების ბერდუჯის მდინარის თვის, და მთა რომელი მიჯუკების დასავლით კერძო, რომლისა წყალი კარდმადის ჩრდილოთ კერძო, და მიერთვის მეტეკურსს, რომელი მიჯუკებსა მთა შორის კლარჯეთსა და ტაოს, ვიდრე ზღუამდის, და ჩრდილოთ საზღუარი დადო-მთა ⁷⁾, რომელსა აწ ჰქიან ღისი. და ამთ საზღუარით საშუად მისცა ყოველი ქაროლოსს:

¹⁾ არარატი ალგოზითა. *Ararat est l'Alagöz.*

²⁾ *Le M-it T porte მასისსა, au génitif, comme venant du nominatif მას Masi; mais la grammaire demande le datif, venant de მასის, Masis.*

³⁾ ქუჭქანისა.

⁴⁾ შიდა თარგამოსი არს. — კაკასია, ელბრუზი: *la Médie est Tawrez, ou Tauriz; le Caucase est l'Elbrouz.*

⁵⁾ *Les autres M-its portent habituellement, dans les phrases de ce genre, le possessif -ის, qui est plus régulier.*

⁶⁾ ბერდუჯისა მდინარე ბუბედაი: *la rivière Berdoudj est la Dèbèda.*

⁷⁾ ჩრდილოთ საზღუარი დადო-მთა: *ici mes manuscrits ajoutent რომელი კარდმადის შიგნით კაკასისა, ვან. და მოკვიდეს წყარა დასავლეთს დადოსს, phrase bizarre, traduite dans la note du texte français.*

სოლო ბარდოს მისცა მტკუწარს სამკრით, ბერდუჭის მდინარით-გან ვიდრე სდა შკერბუ-
ბანს მტკუწარი და რაკი ¹⁾. ამან ბარდოს აღაშენა ქალაქი ბარდვი, და ეშენა მუნ:

და მოაუკანს ²⁾ მისცა მტკუწარსა ჩრდილო, მცირის აღაზნის შესართავით-გან ვიდრე
ზღუემდე. და ამან აღაშენა ქალაქი მოვაქეთი, და დაემკვიდრა მუნ:

სოლო ტროსს მისცა ქუჭუქანს მტკუწარსა ჩრდილო, მცირისა აღაზნის შესართავით-გან
ვიდრე ტუგ-ტაბდმე, რომელსა აწ ჰქვიან გულგულა. და ამან ტროსს აღაშენა ჰირველად ქალაქი
შესაყრეელთა შორის ორთავე აღაზნისასა, და უწოდა სახელი თვისი ტროეთი ³⁾, და მის გამა
ჰქვიან ტროეთი, და აწ მის ადგილს ჰქვიან სორანთა:

ეგროსს მისცა ქუჭუქანს ზღვს ეურისა და უჩინს საზღუერი. აღმოსავლით, მთა მცირე რა-
მელსა აწ ჰქვიან ღისი. დასავლით, ზღუე, მდინარე მცირისს საჩარეთისა, სდა წარსწუთების წვერი
კაკახისა. სოლო ამან ეგროსს აღაშენა ქალაქი და უწოდა სახელი თვისი ეგროსი. აწ მას ადგილს
ჰქვიან ბეღა: სოლო კაკახისათა ჩრდილოთ არა იყო სკვდრი თარემოსისა, არამედ არცა იყო კა-
ცი კაკახისათა ჩრდილოთ ⁴⁾, და უმკვდრო იყო ქუჭუქანა-ცი კაკახისით-გან ვიდრე მდინარემდე
დიდად, რომელი შესდის ზღუესა დარუბანდისას. ამის-თხ მთაუქანისა მრავალთა გმირთა-გან
ორნი გმირნი, ლეკან და კაკახა, და მისცა ლეკანს. ზღუით-გან დარუბანდისათა, ვიდრე მდინა-
რემდე ლომიქისა. ჩრდილოთ, ვიდრე მდინარემდე დიდად საჩარეთისა ⁵⁾. და მისცა კაკახისს,
ლომიქის მდინარით-გან ვიდრე დასასრულამდე კაკახისს, დასავალით:

სოლო ჰაოს დაემკვიდრა საყოფელთა მამისა თვისის თარემოსისათა, და დიპურს ქუჭუქანს
ჩრდილოთა, ვითა დაუკვირბა. ხამსრთ, მითი ორეთისით-გან. აღმოსავლით, ვიდრე ზღუემდე
გურანისს, და დასავლით ვიდრე ზღუემდე შონტოას. და ამით შვიდთავე გმირთა ზედან იყო
გამკებულ და უფალ ჰაოს, და ესე უოკველნი იუშენს მორჩილ ჰაოსის ⁶⁾. და ესე რვანივე ერთო-
ბით ჰმონებდეს სებროთ გმარსა, რომელი იყო ჰირველი მეფე უოკვლის ქუჭუქანისს:

¹⁾ რაკი ამანთა «Le Rakhs est l'Arax, ou Araxe.»

²⁾ მოვაქეთი არს შვირის აღაზნის შესართავს ქვეთ ვიდრე ზღუემდე. მცირე აღაზნის ბინათ; «le Mowacan est le pays depuis la jonction du petit Alazan jusqu'à la mer; le petit Alazan est l'Ior.»

³⁾ ნაკროთი არს მდინარის აღაზნისა ამოღებლით ვიდრე გულგულამდე ცოტე ქალაქი და ვიდრე მდინარემდე და მტკუწარს. «Le Héreth est le pays situé sur le haut du petit Alazan, jusqu'à Goulgoula, en-deçà du mont Tziw, jusqu'à Azanbour et au Mtcour.» Azanbour n'est pas connu, dans la géographie moderne de ces contrées. Je remarque que les noms ტროსს, ტროეთი, sont écrits archaïquement ტროსს, ტროეთი, parceque la lettre 't' est à elle seule un e aspiré; mais ce genre d'orthographe n'est plus suivi; et même notre M-it porte souvent, dans la suite, კავალი.

⁴⁾ Fin du 1-er f-o. du M-it T, qui a été recopié par une main moderne.

⁵⁾ Quoique tous les M-its portent კაკახისათა «au N. des Caucasiens.» je propose de lire, et je lis et traduis კაკახისათა «des Caucases, ou plutôt du-Caucase.

⁶⁾ T. მორჩილ-ჰაოსი.

⁷⁾ Ici les M-se ajoutent; და ამით უოკველთა იყო ერთი ენი, ხამსრეთი v. la traduction française, p. 19, note, et cf. p. 9.

3 შეიღვამდა ამის მცირეობა წაღწავდა, მოუწოდა ჭაბს შევიდეს მათ გმირთა. შეიკრიბნა და ჰრქვა მათ. „მოკვდა ღმერთ-მან ძალად-მან ძალი და სიმრავლე სათესვის ჩქრნისა. აწ შექვიანა ღმერთისა დამადებულისათა ვიუწისეთ არა-ვისა მონა და არა-ვის ვისახურაოთ, თვისიერ ღვთისა და მბედულისათა:“ ეწმსეს შეიღვინი-იგი გმირნი, და დაუტყვივეს განზრახვა-იგი, და განუდგეს ნებროთს, და არაღ-რა მისცეს ხარკი. და ეზრახნეს სსწათა ვითამე სათესავთ, და დაურგულავენ სსწანიცა სათესავნი: მამის გაუწერა ნებროთ და შეიკრიბნა გმირნი მისნი, და ყოველი რამელნი ერწდეს სზანი მისნი, და მომართა თარგამოხანთა: სოლო ჭაბს მოუწოდა შევთავე გმირთა და სათესავთა თარგამოხისა, და შეუწინეს სსწანიცა ვინმე სათესავნი დასაუღუთისანი: შეკრიბნა ჭაბს ესე ყოველი და დადგა ძირსა მასიხასსა: და ვითარ მოადგა ნებროთ ქრქვანასა და რბადგანისასა ¹⁾ და დადგა მუნ, წარაუღისა გმირნი სამეოცნი, და მათ-თანს სზანი ძლიერნი ²⁾ წუობად თარგამოხანთა: სოლო ვითარცა მოაწინეს სზანი ნებროთისანი, მამის მიუგებნეს შეიღვინი-იგი გმირნი ჭაბისანი, სზითა მღიერითა: სოლო ჭაბს სზითა უდიერეითა და უდგა უკანით, ზურგით: იქმის მათ შოთის ბრძოლა სასტიკი, რომელი ემსგავსებოდა ხასტიკებას ჭაბისასა. რამეთუ მტკერი ფერვისა მათისა ვითარცა დრუბელი სქელი, ელვა ახერხის მთისა ვითარცა ელვა ცისა, ესე შირისა მათისა ვითარცა ვის ქუსიღისა, სიმრავლე ესართა და ტყორცს ქვისა მათისა ვითარცა სტყვესა იშირი, და დასთქვა ხისხღისა მათისა ვითარცა ღვარი სტყვეთა: გასტყველდა ბრძოლა მათ შორის, და მოსწიფეს ორგნითვე ურიცხვი:

სოლო ჭაბს უდგა ზურგად გმირთა მისთა, ძალ-სტემდა, ნუგეშინის-ტემდა, კმითა სსწარე-ლითა, რომელი მსგავსი იყო მესინ-ტყისსა: მამის სძლეს თარგამოხანთა და მოხსნეს სამეოცნი-იგი გმირნი ნებროთისნი და სზანი მათნი: სოლო შეიღვინი ესე გმირნი თარგამოხანნი. ქართლს, ბარდოს, მოკვანს, ჭეროს, ლეკას, კავკასს ³⁾, ეტროს, ესენი დაჩქეს ცოცხლებით, თვისიერ წელე-ლებისა, და ძლევა-შეიძლიან მადლობდეს ღმერთს: სოლო ვითარცა ესა ნებროთს, განსწერა და წარმოქმართა მათ კრძალს, ყოველითა ძალითა მისითა: სოლო ჭაბს არა ჰყვეს სზანი ნებრო-თის სზითა ოდენი: გამაგრდა იგი ღირდალთა ⁴⁾ შინა მასიხისათა. მიუდგა ქრქვე კრძალს ნებროთს, და იყო იგი ჭურჭელი რქითისა და რუბლითა, ტრფით-გან ვიდრე თსემამდე: აყდა ერთსა გორასა ზედა მრასწად ჭაბისას, და ეტყოდა დამორჩილებასვე მისსა, სათა მიუცევა სთნდეს მისდავე ⁵⁾: სოლო ჭაბს ჰრქვა მათა მისთა. „განხმობარეთ ზურგით კრძი ჩემს, და მიუკასლოთ ნებროთს,“

¹⁾ აღმრავლებანი, აღმრავლებანი არა, თარგამოს ზე; ²⁾ Adarbadagan ou Adribéjan, qui est le pays de Tauris; note des M-ss.

³⁾ M-ss. ურცხვი.

⁴⁾ Je laisse cette forme insolite. Caucasan, qui se trouve dans trois M-ss, mais qui devrait être remplacée par კავკასი ou კავკასია.

⁵⁾ T. ღირდალთა.

⁶⁾ T. მისი.

და წარუდა და მივიდა ¹⁾ შირის-შირ მხლობელად ნებროთის, სტეპარტა ისარი და ჭრას მკერდას ნებროთისასა, ფიცარსა ზედა რვაღისასა, და განავლო ზურგი: მაშინ დაეცა ნებროთი, და იატა ზასაკი-მისი, და ჭაბ ჭეო თავი თვისი შეფედ მისთა თხზთა ზედა, და სხუთადა ნათესავთა ზედა მასლობელთა ხაზღურთა მისთას: სოლო შვიდნივე ესე მძანი წარვიდეს ოჯს თხზად ქუჭყანად, და იუწუნეს შორხილ ჭაბისხს: სოლო აქამოდის დაწერეთ ჭამბავი ესე რვათავე მძანთ:

სოლო აქათ-გან ვიწუეთ და წარმოვთქუთ ჭამბავი ქართლისა და ხაოესავის მათისა, და ცხოვრება მათი ვიდრე აღეთა ჩუქნსთამდე: და ვითარ-იგი გასუყო ქუჭყანს თარკამის სთუესხს მისდა, რუთავე შედთა მისთა, და მისცა ქუჭყანს ქართლოსს რომელი ზემო აღვწერეთ: და ესე ქართლოსს მოვიდა შირეკლად ადგილსა-მას ხდა შეუროყის არაკვი მტკუნარსა, და განვიდა მათსა-მას ზედა რომელსა ეწოდების არმაზი, და შირეკლად შექმნა ხიმბერენი მას ზედა, და აშქნა მუნ ზედა ხასლი ²⁾, და უწოდა მათსა-მას ხასელი თავის თხზის ქართლი, და ვიდრე აღმართებამდე მუნ ზედა კერძი არმაზისი ერქუა მათსა-მას ქართლი. და მის გამო ეწოდა ყოველს ქართლოსს ქართლი, სუნანიო-გან ვიდრე ზღუდამდე სპერისა: შემდგომად ამისხს ამასვე ქართლოსს აღაშენა ციხე ორბისა, რომელსა აწ ჭქვიანს ხამშვილდე. და კვლად აღაშენა მტკუნარის-ციხე, რომელსა აწ ჭქვიანს ხუნანი ³⁾: ცხონდა იგი მრავალთა წელთა და გამბრავლად ნათესავი მისი: სოლო შვიდთა შორის მისთა გამოინდეს ხუთნი გმირნი, რომელთა ხსენებები ესე არს. შირეკლას, მცხეთოს. მკორეს, კარდაბოს. მესამეს, კახს. სეოთისეს, კუსოს. მესეთეს, ტაჩიოს: ესე სუთნივე იუწუნეს გმირნი, არამედ მცხეთოს უტომრე ⁴⁾ იყო ხსენათამთ ⁵⁾: მოკუდა ქართლოსს, და დაფლეს იგი თავსა ზედა ქართლისასა, რომელსა აწ ეწოდების არმაზი: და შემდგომად ამისხს ცოლამის მის-მის აღაშენა ეღა-ციხე, და მასვე აღაშენა ბახტან-ქალაქი, რომელსა აწ ჭქვიანს ორეს-თავი: და გან-ყენა ცოლ-მას ქართლისასა-მის ხუთსივე იგი გმირნი, შვიდნი მისნი: მისცა კარდაბოს ⁶⁾ ხუნანი, და უჩინა ხასღურთი. აღმოსავლეთ, მდინარე ბერდუყისი. დახაკლით, ქალაქი გაჩინა, და ხამხროთ მთა შირეჭ-კესქებულთი, და ჩრდადეთა მტკუნარ:

¹⁾ T: წარუდა ზედა, «departirai, j'irai près de Nébroth.»

²⁾ Ce petit membre de phrase est rejeté un peu plus loin dans les autres M-ss.

³⁾ სუნანი კარდაბოს კილის ციხე, «Kliondan est la citadelle du Pont-Brisé- aujourd'hui, le Pont-Rouge, sur la Khram, ou Ktzia, non loin de son confluent dans le Kour. Le M-it T porte, ainsi que le mien. შირეჭ-კეს, «le fort de la Poussière.» Pourtant cette même variante se retrouve dans mes trois M-ss, p. 6, 10. J'ignore quelle en est la valeur, d'autant plus que Wakhoucht, Descript. de la Gé. p. 169, a adopté la lecture *Miccris-Tzikhé*: je suivrai donc l'orthographe du savant prince géorgien.

⁴⁾ Pour უტომრე.

⁵⁾ M-ss. ხეოთისეთა.

⁶⁾ კარდაბოს ჭამბავი ქართლი ზღურთი და კარდაბოს ქალაქი ვიდრე შირეჭ-კეს ეწოდება: «On appelle Gardaban le pays au-dessous de Dechajala, de Nakhidour et de Taguagéthra, jusqu'au Mitouar.» N. des M-ss.

სოლო გახიოს მისცა ორბის-ცისე, და სკვირეოისა ¹⁾ მდინარით-გან თავადმდე აბოცისა. და ამან გახიოს აღაშენა ქალაქი გახიანი, რომელსა მამის ერქვა სხანადროა-ქალაქი:

სოლო კუსოსს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსა აწ ჰქვიან რუს-თავი: მისცა არაგვიტ-გან ვიდრე ტყროთამდე, თავადმდე მთასა კახეთისასა და მტკაშრის შუა:

სოლო კასოსს მისცა გუგასიასა და კახეთის მთასა შორის, არაგვიტ-გან ვიდრე ტყე-ტბად-
5 მდე, რომელი არს სხელუარი ტყროეთისა. და ამან კასოსს აღაშენა ჩელიკი, და კუსოსს შექწია შე-
ნებასა ჩელიეთისასა, რამეთუ დედა-ცისე კასოსის სვედრი იყო, და მისცა კასოსს შექწინისა-თვის,
და შექწია შენებასა ჩელიეთისასა, რომელსა ბერ ერქვა, ჰირველ შენებულსა კახეთისასა ²⁾: სოლო-
მცხეთოს, რომელი უცმიერ იყო მამათ მისთა, ესე დარსა საყოფელთა მამისა მათისა ქართლოხისა-
თა, რომელსა აწ ჰქვიან არმაზი. და მსხვე აღაშენა ქალაქი შესაკრებულსა შორის მტკაშრისა და არაგვი-
თისა, და უწოდა სასელი თვხი, მცხეთა, და დანაურა ქუჭქანსა, ტფილისით-გან და არაგვიტ-გან, დასაუ-
ვლით ვიდრე ზღუამდე სპერისა: და ესე იყო განტე და უფალ მათ ოთხთავე მათსა ზედა, და ესე ოთხ-
სივე იუქუნს მორხილ მისხს: ესე არიან განყოფისი ქართლოხის მეთანი და რომელნი განუქუნსა დედა-
მან მათ-მანს შემდგომად სიკუდილისა ქართლოხისა: სოლო მრავალთა წელთა და მრავალთა კამისა ცხონ-
და მკ ქართლოხისა, და განმრავლდა სათესავი მისი, და მათ ყოველთა განმრავლდა ნათესავი მათი:

სოლო შულთა შორის მცხეთოხისათა გამოხნდეს სამნი გმირნი სასელთკანისი, რომელთა
ხასელეები ესე არს. ჰირჭულსა, უფლოს. მეორესა, ოძრგოს. მესამესა, ჭავახოს: გასუყო მათ
ქუჭქანსა და ნათესავი მათი, ყოველი: ოძრგოსს მისცა ტახის-კართით-გან ვიდრე ზღუამდე სპერისა,
ქუჭქანსა კლდოვანი. ამან ოძრგოსს აღაშენა ორნი ციხე-ქალაქნი, ოძრგე და თუხარისი: სოლო ჭა-
ვახოსს მისცა ფანავრით-გან ვიდრე თავადმდე მტკაშრისა. და ამან ჭავახოსს აღაშენა ორნი ციხე-
ქალაქნი, წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მამის ერქვა ქავთა-ქალაქი, სოლო აწ ჰქვიან
ჭყური: სოლო უფლოს დარსა საყოფელთა მამისა მათისა მცხეთოხისა, მცხეთას, დანაურა ქუჭქანსა
არაგვიტ-გან ვიდრე ტახის-კართამდე, და ფანავრამდე. და ამან აღაშენა უფლის-ცისე, ურბისი,
კახვი. არაგვიტ-გან და არმაზით-გან ვიდრე ტახის-კართამდე უწოდა ამან ქუჭქანსა ჭყანს-სო-
ფლისა ³⁾, რომელსა აწ ჰქვიან შიდა-ქართლი ⁴⁾:

¹⁾ სკვირეთის ზღუამდე მამავრია: «La rivière de Scwirth est la Machawer.» M-ss.

²⁾ კახეთის თხრელის კვირკვიითა თანეთა, ვიდრე კახეთისამდე; კუსოსს მისცა სხანადროა-ქალაქი, და ამან სკვირეთისა მამისა და არაგვიტ-გან: «Le Cakheth est le Thiamneth, au-dessus de la vallee de l'hourdo, jusqu'au Khewsoareth: le Coukheth est Sam-Gor, au-dessus de Nimo-Tsminda, et plus haut que le Sam-Gor jusqu'à la montagne d'Erso et à l'Aragwi; N. de mon M-it.

³⁾ M-ss. «უფლის-ცისე» ces deux formes se retrouvent dans les livres postérieurs.

⁴⁾ შიდა-ქართლი ამან ოძრგოსსა ჰქვიან; სკვირეთისა მისცა ტახის-კართსა სკვირეთსა და კლდოვანსა. «Le Chida-Karthli est le pays au-dessus de Tasis-Car; le Zemo-Karthli est le Samtzkhé et le Clardjeth, au-dessus de Tasis-Car. N. de mon M-it.

სიღო ვიდრე სიკუდილადმე მცხეთობისა, ესე უოველი ნათესავნი თარგამოსინი იუენეს სიუქარულსა სედა ერთმან-ერთისხსა, და შიში აქუნდათ სებროთიანთა, და ჭკოანებდენ ივინი ნებროთიანთ-გან ძესხსა სიხსლის სებროთისხსა, და ისწრაფდეს ივინი მკრებასა ¹⁾ ცისე-ქალაქთსა შაშის-თვს სებროთიანთსა. სიღო ვითარცა მცხეთოს მოკუდა, ძე ქართლოსისი, შთავარდა შური შორის შჯლოა ქართლოსისთა. იწყეს ბრძოლად და კლომად ურთიერთარს ²⁾. რამეთუ უფლოსს, ძეს მცხეთოსისხსა. არა ერზდეს, არცა სადოდეს უფლად, რომელი დტკეპულ იყო საედართა ³⁾ ქართლოსისთა, მამისა ⁴⁾ მისის-გან მიგრემულ ⁵⁾ იყო უყალობა ქართლოსისთა: იწყეს ბრძოლად და კლომად ურთიერთარს, და განკრძელეს მათ შორის ბრძოლა, რომელ ჟამსამე ⁶⁾ აღდგინა ამოვანნი ორნი სათესავნი ერთსა სედა და სხუნანი შექუეოდათ რომელნიმე მას. და რომელნიმე კვალად სხუნანი აღდგინა ერთმან-ერთსა სედა, და სხუნანი შექუეოდათ. რომელსამე ჟამს იქმის 6 მშვიდობა მათ შორის, და შეიძალნინა და ებრძოდან: და განკრძელდა მათ შორის ქსეკითარი სეძემე, და არავან იყო მათ შორის უწარჩინებელეს და უსასკლავიეს, არამედ ადგილითი-ადგილად თავადნი იხიან: სიღო რომელიცა იუენის მცხეთას რეცა თავადი ივა იუენის უოველთ-მათ სხუნათ სედა, და არცა სასკლ-უკებოდათ მეფედ, არცა ერისთავად, არამედ მამა-სასლისი ეწოდებოდათ, და იგი იუენის მასკეპულ და ბჭე სხუნათ ქართლოსისთა, რამეთუ ქალაქი მცხეთა განდიდებულ იყო უმეტეს უოველთსა, და უწოდდეს დედა-ქალაქად: და მას ჟამსა დაივიწყეს დიუროი დამბადებელი მათი, და იქმნეს მხსსურ მისისა და მითარისისა, და ვარსკულავთა სეთთა, და მტკიცე და უფროსი საფიფარი მათი იყო საფლავი ქართლოსისა :

გ ა მ ო ს ლ ვ ა ს ა წ ა რ თ ა : ⁷⁾

მას ჟამსა შინა განდიდებდეს საზარნი და დაუწყეს ბრძოლა სათესავსა დეკისთა და გეკე-

¹⁾ მტკიცეს, M-ss.

²⁾ Jusqu'à la fin du §, on lit ce qui suit, dans le mit R: და აღდგინა ბრძოლებდეს უფლოსს, არამედ იყოველ-მე ერთსა ბრძოლად საქართველოსა მანა აღიზნეს თავადნი კენი მათ შორის და უწოდეს მასსასლისად ე. ი. მას სასლით (არე მამე მოსხლეთა) და მართოდეს მათ მასსასლისი: და შეძგომოდ ეგრემდოდან მათ შორის მართოდეს მასსასლისი, დამკვლადენ კვალად ქართლოსისი, და აქუნდათ ურთიერთობა შჯლოად და ერთობა, და მასსასლისი განკრძელეს მათ შს ვმას მან ქალაქი მცხეთა უმეტეს ცანდინა. და სასლი უმრავლეს იქმნა: და შედგომად დაივიწყეს დიუროი დამბადებელი თვნი და იქმნეს მხსსურ მისისა და მითარისისა, და ვარსკვლავთა სეთთა, და სიღოდენ ივინი საფლავი ქართლოსისისა :

³⁾ M-ss ajoutent ici ვადა.

⁴⁾ M-ss ajoutent რამეთუ, avant ce mot.

⁵⁾ M-ss სიღო.

⁶⁾ M-ss ვამსამე.

⁷⁾ მხარნი რეცოთა, « K hazar, c'est la Russie; n. de mon M-it.

სიოსთა ¹⁾: ესე თარგამოსიანი ეოკელნი მას ემას იუჟნეს მშვიდობით, სიუჟარულსა კრიმან-კრთისასა. სოლო შეიღოთ ზედა კავკასიისთა ეო უფად ღურძუქ, ძე ტირეთისა: ეზანსეს ესე ექწესავე სათესაეთ თარგამოსიანი და იოსოვეს შეედა საზართა ზედა. სოლო შეკრებს ეოკელნი ნათესაენი თარგამოსიანი, და გარდავლეს მთა კავკასია, და მოსტეუწეს ეოკელნი საზღურნი საზარეთისანი, და აღაშენეს ²⁾ ქალაქნი ჰირსა საზარეთისასა, და წარმოვიდეს: ამისსა შეამდგომად, საზართა იხიეს მუვე და დემორჩილნეს ეოკელნი საზარნი იუფესა-მას ჩინებულსა მათსა, და წარმოიდუმნეს იგი ³⁾, და გამოკლეს ზღვისკარი, რომელსა აქ ჰქვიან დარუბანი: ვერ წისა-აღუდგეს თარგამოსიანი, რამოუ ეო ხიმრავლე ურიცხვი საზართა: წარტეუწეს ქუჭყანსანი თარგამოსიანთანი და შექმნეს ეოკელნი ქალაქნი არარატისანი ⁴⁾ და მახისისანი, და ჩრდილოეთისანი. სოლო დაურჩეს ცისქ-ქალაქნი თუსარისისა, სამშვიდე და მტკვირის-ცისე, რომელ არს სუსანი, შიდა-ქართლი და ეგრისი: და ისწავეს საზართა ორნივე ესე ტზანი, რომელ არს ზღვის-კარი, დარუბანი, და არაგუს ⁵⁾ კარი, რომელ არს დარაალა ⁶⁾. და განამრავლეს საზართა გამოხლუა და ტეუენუა მათი, და ვერღარა წინა-აღუდგეს, და მიერთ-გან იქმნეს ეოკელნი თარგამოსიანნი მოსარევე საზართა: სოლო ოადეს ჰირეულ გამოვიდა საზართა მუვე და მოსტეუწეს ქუჭყანსანი რომელნი ზემოთ დაკვიწრია, და გარდავლო მთა კავკასია, და ეო ძე მიხი სასელით უბოხს, და მისცა ძეს მისსა ტევე სომხითისა და ქართლისა. და მისცა ქუჭყანსა, კავკასის საწილი, ლომეკის მდინარის დასავალით, დასავლეთობდე მთისა, და დაეშენ: უბოხს და მათნი ნათესაენი არიან ოგენი, და იგი არს ოგენოთი, რომელ საწილი ეო კავკასიისა: და ღურძუქ, რომელი უწარმინებულეს ეო შეიღოთ შორის კავკასიისთა, მაკიდა და დაჯდა ნაზრულს შინა მიისსა, უწოდა სასელი თვის ღურძუქოთი, და მისცემდა სარკსა მუფესა საზართას:

სოლო მისვე გზობასა მისცა მამის მამის-წულსა მისსა საზართა მუვე-მან საწილი ლეკანისა,

¹⁾ Précédemment, p. 1, ce personnage est nommé simplement *Caucas*, et non *Caucasios*; mais je laisse subsister cette variante, parce que les M-ss donnent ici celle, plus défectueuse encore კავკასიოსი, qui va se retrouver plus bas.

²⁾ M-ss დაშენეს იქს პრენთს რილს.

³⁾ იგინი.

⁴⁾ M R. და შეიკრეს ეს დარეალანი რომელი გარდავლეს კავკასიას, არაგუსს გზით, -et la seconde. celle de Dariéla, qui franchit le Caucase en suivant l'Aragwi. Mes M-ss portent ici არაბის კარს, la porte de l'Arabe.

⁵⁾ Le M-it porte très lisiblement la leçon *Darghala*, et les autres დარეალანი, *Dariéla*; or si, dans les M-ss *khoutzouri* en lettres minuscules, le *რ* et le *ღ* s'écrivent de même et peuvent se confondre, et si, dans notre M-it T, le *რ* est souvent écrit comme *ღ*, il n'en est pas de même dans ceux en lettres capitales. comme j'en ai vu un au Comptoir synodal de Tiflis, que je crois être du IX^e ou du X^e siècle. Là ce mot se lit clairement, dans la Vie de S. Abo, **დარეალანნი**, *Darialani*, et non **დარეალანნი** *Darghalani*, d'où je suis très porté à conclure que le vrai nom est le premier des deux ici indiqués, *Darialani*. d'où s'est formé *Darial*, *Dariéla*, *Dariel*.

ადმოსვლით, ზღვით-გან დარუბანდით, მდინარეჲდ ლომიქისა, და მისცა ტუქუ რანისა და მოკაცისა, და ექნა იგი მუნ, რომელ ნაწილი იყო ლეკნისი: ხოცანისი ¹⁾, რომელი უწარმინებულეს იყო ნათესავთა შორის ლეკნისათა, მივიდა და დაჰდა ნაპრალსა შინა მთისასა, და მესა ქალაქი და უწოდა სასელი თუხნი ხოცანისეთი ²⁾: და გარდასდეს მას შინა უამინ მრავალნი ³⁾, და ესე ეოკუდნი ნათესავნი იუქნეს მოსარკვე სახართა :

მიერთ-გან განძლიერდეს სპარსნი, მზისა ადმოსვლით-გან, ნათესავნი ნებროთისნი, და გამოუწინადა ნათესავთა შორის ნებროთისთა გარე ერთი გმირი, აკრიდონი. „რომელ-მან შეკრაო ჯაჭვი-თა ბეჭრასუ, ტკელთა უფალია, და დაბა მთას ზედა რომელ არს კეთ-მეუღლიო ⁴⁾“ ესე-გითარი წერილ რს ცხოვრებასა სპარსთასა : აფრიდონ ეუფულა ეოკულსა ქუქუნასსა სპარსთასა, ხოლო რომელთამე ქვეყანათა შუგზავსა ერის-თავნი, კულდნი მიხნი, და რომელნი ქუქუნას მოსარკვე ეოკო : ამან წარმოგზავნა ერის-თავი თუხი, სპითა დიდითა, რომელსა ერქუა არდამ, შვილი ნებროთისი ⁵⁾ ნათესავთა. მოვიდა ქართლად და შექერსნა ეოკულსი ქალაქნი და ციხეი ქართლისსი, და მოსრნა ეოკულსი რა-ოდენსი სახარნი ჰოკუნა ქართლსა შინა : ამან არდამ ერის-თავ-მან აღაშენა ქალაქი ზღვის-გარს, და უწოდა სასელი დარუბანდი, რომელი ითარგმნების „ადამ კარი“ და მასვე მოზღუდა მცხეთა ქალაქი ქეთი-კირიათა. და აქამომე არა იყო ქართლ შინ საქმე ქეთი-კირისა, ამის გამო დასწყველეს ქეთი-კირი : მასვე არდამ ⁶⁾ მოჰკიდა კირით სღუფე ციხესა არმაზისასა; და აქით მტკვარმდის და წარმოზღუდა ცხვირი არმაზისი, ვიდრე მტკვარამდე : და ერისთავობდა აგადონ მრავლთა წულთა. ხოლო იადეს გასუეთა აფრიდონ ეოკული ქუქუნას სამთა მეთა მისთა, მასინ რომელსაცა ძესა მისცა სასილად სპარსეთი, მასვე სვდა წილად ქართლი, რომელსა სახელად ერქუა იარედ : ხოლო შეიძღვრად ადარმა ⁷⁾ ერის-თავისა გარდაიცვალეს ე ერის-თავნი, მიერთ-გან უცალო იქნეს ძესი აფრიდონისნი, რამეთუ იწუეს ბრძოლად ურთიერთარს, და მოკლეს იართა ძმთა იარედ, მბა მათი. მასინ ჰოკუეს უამი მარკვე ქართლოსათა ⁸⁾... ბერძენთასა, ხოლო კერისა

¹⁾ Il est impossible de lire autrement ce nom, dont Wakhoucht, dans sa Géogr. de la Gé., p. 227, fait *Khzonis*; M-it R; ხოცანისი, cf. Chron. arm.

²⁾ Quoique le M-it porte ხოცანისეთი, je n'hésite pas à ajouter le premier „ qui me paraît nécessaire pour la régularité de la dérivation. Corrigez dans ce sens la n. p. 223, Wakhoucht, Géogr. de la Géogie.

³⁾ Dans le M. R. on lit au lieu de ce qui suit, jusqu'à *მეფითაგან და ამისთვის შინად სპარსნი და ქართლისნი*. ერთიერთადვე „ et les Khazars et les Karthlosides étaient perpétuellement en guerre. „

⁴⁾ Les ~ qui terminent plusieurs mots de cette phrase indiquent que c'est une citation.

⁵⁾ T ნებროთისი.

⁶⁾ T. ადარ, v. infra ადარმა. et Chron. arm.

⁷⁾ Lis. არდამ, comme plus haut.

⁸⁾ Il est évident qu'après ce mot, il manque quelque chose, qui servait de transition au suivant, et à la phrase où il est encore question des Grecs. D'ailleurs, après le mot *სპარსთასა*, on lit dans le M-it T: *ეს იმეო კულა დარუბანდი*, „ ici les originaux avaient une lacune dans l'histoire. Cette même lacune existait dans le

წელის ქვეით ღარსა ბერძენთა. რამეთუ მკვდროა მის ადგილსთა ერასნეს ოკისო, გარდმოი-
 ვკანეს ოკსნი და ჭპოეს ერს-თავი სზარსთა ველს ტარე, და კისიხობად, და მოკლეს იგი. და
 8 რომელ ჭპოეს სზარსი, ყოველი მოსწყვიდეს ოკსთა და ქართუჭლთა, და განთავისუფლეს ქარ-
 თუჭლნი. სოლო რანი და ტერეთი დარსა სზარსთა: და შეიძგომად ამისხა, შრავლთა წელიწდათა,
 კვალად განსლიერდეს სზარსნი, და ¹⁾ განდღნა მეფე სზარსთა რომელს ერქვა ქეკაზოს: იყო გა-
 რე ვინიუ მს უამხა ლეკოს, მგრძობდელი, ნათესავი ზანისიხსი ²⁾, და მის გმძინებთა თვისითა
 დახარსო ქეკაზოს მეფე და სზა მისი, და ვერ შეევიდა ლეკოს: უგ-მოიქცა, და მისინა განუნ-
 თლდათ თვალეთი. ამის ქეკაზოს მეფე-ი კვალად მოსარეკე უქნა ქართუჭლნი და წარვიდა:

შეიძგომად ამისხა რა-ოადენთავე წელიწადთა, მოვიდა ჭამბავი ვითარმედ მოსე განსავლო ზღვა
 ისრავლთა, და იჭრდებან იგიანი უღასიხსა მასანათა. განვიერდეს ყოველნი და მით ყოველთა წარ-
 მართთა აქეს ღმერთი ისრავლთა:

და შეიძგომად ამისხა რა-ოადენთავე წელიწადთა, ურავლო იქმნა ქეკაზოს მეფე სზარსთა, რა-
 მეთუ იყო ბრძალა თურქთა. პოეს უამი მარჯუჭ სომესთა და ქართუჭლთა და განუდგეს სზარსთა,
 და განსაზგრეს ციხესი და ქალაქნი მასნი, და შეიერთეს ყოველნი ნათესავნი თარგამოსხანსი:
 შეიძგომად ამისხა რა-ოადენთავე წელიწადთა, გამოგზავნა ქეკაზოს, სზარსთა მეფე-მან, ძე მისი რა-
 მელს ერქვა ფარშორატ, სხითა დიდითა, სომესთა და ქართუჭლთა და ყოველთა თარგამოსხანსთა
 ვიდა: სოლო შეკრბეს ესე ყოველნი თარგამოსხანსნი, მიეგებეს და ყწეესეს არდაზაგანს. სილეს,
 და იოტეს ფარშორატ, და მოსნეს სზა მისი: შეიძგომად ამისხა მღირედთა წელიწადთა, კვალად
 მოგზავნა ამანვე ქეკაზოს მის-წული მისი, ძე შიომ ბედნიერის, რომელი მოიგვა თურქეთს, გო-
 თარვა წერილ არს წიგნთა სზარსთა ცხოვრებისასა, არა ყოველი მართალი, არამედ უმრავლესი
 ტყუილი: წარმართა ესე ძე შიომისი, ხსენებით ქახოსხრო: ვერ წინა-აღუდგეს მას სომესნი და

M-it dont Klaproth a fait usage, et est indiquée dans le commencement de traduction russe des Annales, existant au Musée asiatique; v. S.-Martin, Mém. t. II. p. 190. Faut-il conclure de-là que la mention des Grecs, venue-là si subitement, soit exacte? on pourrait le croire, en voyant comment le M-it R remplit cette lacune: და შეკრბეს ბერძენთა, და მოკლეს ერს-თავი სზარსთა, და ყოველი შეკრბომად მათი განსლიერდეს. და განთავისუფლდა სზარსთა. გან სპარსავლთა, და ქართუჭლთა მისხსილასი ოკსნი, და ფოთელს შეერთებთ ყოველს განსრავნას და სპარსს მან. ამს მან, გან ველს რა-ოადენთავე უამთა, და განდღნა... Suiv. p. 8. «Les Grecs les ayant secourus, ayant tué l'éristhaw perse et massacré son armée, la Géorgie fut affranchie des Perses. Sous le gouvernement de leurs manasaklia, ils furent d'accord dans tous leurs projets et actions. Cependant, quand il se fut écoulé de la sorte bien des années un roi de Perse, nommé Kéapous, devint puissant...» Ici, nulle mention des Osses ni des possessions des Grecs dans les pays géorgiens. J'ajoute que, dans le M-it T, il y avait réellement un vide, commençant ici au milieu d'un verso, et se prolongeant durant deux pages et demie, jusqu'à l'endroit indiqué plus bas, vide qui a été comblé par un autre écrivain, et dont le contenu est entièrement semblable à celui de mon M-it. L'abrégé de la Chron. arm. et celui de Wakhoucht sont rédigés dans le même sens.

¹⁾ Ici finit la variante du M-it R.

²⁾ Il faudrait, je crois, lire ici მასხისი, i. e. le nom du personnage nommé déjà de diverses manières, p. 7:

ქართულნი, რამეთუ დიდი იყო ძალი მისი: მოკლო ყოველი სომხითი და ქართლი, მოტყუენს ყოველივე და იავრ ეუნს ყოველნი ციხენი და ქალაქნი, და დაუტყუენს ერის-თავნი, და აღაშენს აღწაბადეგის სხელი ხალოცავი ხეულისა მათისა, და წარვიდა:

და შემდგომად ამისა რა-ოადინთაჲ წელიწადთა, უგალო იქმნა ქანისობა, და იყო ბრძოლად თურქთა, ეკებდა ხისხლსა მამისა მათისასა. და იპოეს ჟამი სომეხთა და ქართულთა, განუდგეს სპარსთა, და მოსწრეს ერის-თაჲნი სპარსთანი და განთავისუფლდეს: მასვე ჟამსა მოვიდეს თურქნი, ოტებულნი მისვე ქანისობისა-გან. გამოვლეს ზღუა გურჯანისი, აღმოექცნა მტკვარსა და მოვიდეს მცხეთას, ხსალი ოცდა რვა ¹⁾: და ესრესნეს მამასხლისსა მცხეთისასა, აღუქუქნს შექუქნა სპარსთა ზედა. ხოლო მამასხლის-მან მცხეთელ-მან აუწყო ყოველთა ქართულთა. იხებეს დამეცობრება მათი თურქთა, რამეთუ აქუნდა შიში სპარსთა, და შემწეობისა-თვის დამეცობრეს თურქნი-იგი გამოხსმულნი, და განიყვანეს ყოველსა ²⁾ ქალაქთა შინა:

ხოლო უმრავლესნი მათგანნი მოვიდეს და ჰოეს ადგილი ერთი, მცხეთას დასავალით კერძო, კლდეთა შორის გამოკვეთილი, ღრმა. და მოითხოეს ადგილი-იგი მცხეთელის მამასხლისისა-გან. მისცა და აღაშენეს იგი, მოზღუდეს მტკიცედ, და ეწოდა მას ადგილსა სარკინე: და იუენეს ესე თურქნი და ქართულნი სიების ჰყოველ ერთმან-ერთისა, მოკლოდეს მოხლესა სპარსთასა, და ამაგრებდეს ციხეთა და ქალაქთა: მას ჟამსა შინა სადაც უნს მოვიდის, ოტებულნი საბერძნეთით, გინა ასურეთით, გინა სსარეთით, ყოველივე დანიეცობრისან ქართულთა, შემწეობისათვის სპარსთა ზედა: და გამოვიდეს ამას შინა ესანი მრავალნი:

მასინ ნაბუქოდონოსორ მეფე-მან წარმოასტყუენს იუდეუსალიმი, და მუნთი ოტებულნი ქუჩინანი მოვიდეს ქართლს, მოითხოეს მცხეთელ მამასხლისისა-გან ქუქუასა სარკითა. ხოლო მცხეთელ-მან მამასხლის-მან მისცა და დასსსა არაგუსა ზედა, წყაროსა რომე ქვანს ზანავი. და რომელი ქუქუასა აქუნდა მათ სარკითა აწ ქვანს ხერკე, სარკისა-მის-თვის:

აქამოდის ქართლისანითა ენა სომხური ³⁾ იყო, რომელსა ზრასხედეს. ხოლო ოდეს შემოკრბეს ესე ურციხელნი სათესავნი ქართლსა შინა, მასინ ქართულთა დაუტყუენს ენა სომხური, და ამით ყოველთა სათესავთა-გან შეიქმნა ენა ქართული ⁴⁾: დაიპყრეს ხეული უბორცხენი ყოველთა სათესავთასა. რამეთუ ცლო-ქმრობის-თვის არ უწინდით სათესავთა და ყოველსა ხეულირს ჭამდეს. საფლავი არა იყო, მკვლარსა შესჭამდეს:

შემდგომად ამისა რა-ოადინთაჲ წელიწადთა, აღმოვიდა იქ სპარსთა იუფისა კაშტაშაბისა,

¹⁾ M. R. ოც და რვა მათი, «28,000 familles.»

²⁾ Au lieu de ყოველთა, dans les divers M-ss.

³⁾ M-ss შილო ქართული ენა: «leur langue était uniquement la géorgienne.»

⁴⁾ M-ss ცხრეუნი ენა თუხი, და ამით ყოველთა სათესავთას შექმნა ენა ქართული: «Les Géorgiens aussi ayant altéré leur langue, il y eut chez toutes ces races une grande diversité d'idiomes.»

წეხნილ იყო ლაშქრად. არა მეუე, არცა მთავარი, და ვერავინ წინა აღუდგა სპარსეთს შესლვაზა მთხსა, ვერცა სვარასნის სულტანი, ვერცა ერევისა, და კერა-რომელი თემი: და ესრეთ უზომოთა და ურიცხვითა სიმდიდრითა აღვსებულნი და განმდიდრებულნი, შემოიქცეს და მოვიდეს კერძოთა ერევისათა: და ვითარ გურგინსად ქვეყანისად ამავე ქართულთა მიერ ქმნილი უცნაურ ქმნილ იყო ეოკვლთა მიერ, და ერევის სულტანის მოხრევა, კაცი ვინმე მისრულ იყო მანსა ²⁾ სულტანს თანა, და ესე-გითარი ტყუილი თქვა ვითარმედ „მოვიდა თვთ დიდი სულტანი, და გილანელი სულტანი, სვარასნისა და ერევის სულტანი, და გილანელთა, ეოკვლენით გზა შეურეს ქართულთა, და მოხრეს და მოწუდეს რომელ არცა ერთი კაცი ქართულთაგანი განურა, ეგო-დენისა სიმრ-
კლისა-გან, არცა მთხრობელი მივა საქართულთა:“ სოლო ესე რა ესმა მელიქს მანისხა და მანელთა, დიდად განასრეს და ქართულთა-გან დატყუებულნი მგველნი ქალაქისანი დაეოკრეს, და ძელსა ზედან ჩამოჭვიდეს. გარსა ერთი კაცი ქართული დამადა მგველთა-მთავან ქალაქსა შინა, და ვითარცა მოვიდეს ქართულნი ძლევა-შემოსილნი და განმდიდრებულნი მანსა, წინ გაეკება სულტანი მანისა, დიდითა ძლენითა, და ეგონა დაფარვა საქმრის მათისა: იხილნარა ზაქართა, ივითსა მგველნი მათ-გან დატყუებულნი: სოლო მთ ჰრქვეს ვითარმედ თავრუხს წარვიდეს, მუნ დატყუებულთა მგველთა თანს: მამინ მოვიდა დამალული-იგი კაცი, და აუწია საქმარი მანელთა ³⁾, მგველთა მოწყვად, ტყავისა განკდა და ძელსა ზედა დავიდება, და შესწამა ზირის-შირ მელიქს. და ივინი იდგეს უსიტყველნი: და ვითარ ესმა ესე ზაქარიას და ივანეს, დიდად გამწარდეს და მნელად აღუწნდა ესე: შეიპურეს მელიქი და ეოკვლენი სისლეულნი, და თვნნი მისნი, და ეოკვლენი სიკუდილად დასაჯეს, თვთ იგი და შეილნი მისნი, ტყავები დაჭკადეს და ძელსა ზედა ჩამოჭვიდეს, და ქალაქი მოაოკრეს, მოწყეს და ტყეე ჰყვეს: სოლო სიმდიდრე რომელ წარმოიღეს შეუძლებელ არს აღრიცხუა მათი:

და ესრეთ მომართეს გზასა, ადგილსა-მან რომელ აღმოკვლათ, ადარბადაგანით მოვიდეს და მოკებეს, ჰირველად შუენით, და მერმე თავრესელნი, მითვე ძლენითა, და მოართვეს სიმი- 306

¹⁾ T გურგინისად.

²⁾ T მანსა.

³⁾ T მანელთა; sup. მანელთა.

დრე აურაცხელნი, რომლითა აღივსნეს სულიად სამეფონი, და თუთ მეფეთა მეფისა თამარის-თვის წარმოკლავნეს თვალნი დიდ-ფასისანი, ძვირად საშოვნელნი, და ჭურჭელნი უცხონი, და დაუტკეპს მშვილობით მოიფინი ადარბადაგანისანი, და გამოკლეს რაკვი, და შემოკლეს პირი ნახჭევანისა, და მოვიდეს ტვლივისს, წინაშე მეფისა: მხიარულ იქმნა მეფე, მძაღლობელი ღვთისა, და მხიარული-თა პირითა გაკეცა, ზეამითა და დიდებითა. იყო სმა ბუკთა და დუბუღათა, რომელი არცა ძველ-ოდეხმე ქმნიდ იყო: და ესე-უითარი გამარჯვება არცა მეფეთა-გან, არცა მთავართა-გან ქმნიდ იყო: შევიდეს ისანთა, და დაჯდა მეფე ტახტსა ზედა სამეფოთა: შემოძვა ამირ-სპასალარი, და შეკადეს თვალნი, და დასხდეს წესისა-ებრ, და მოიღეს არმაღანი ურიცხვი, და დადეს წინაშე მე-ფისა: განკვირდა მეფე, რომელ არავის ქართულ-ლოთაგანს ენახნეს ესომონი სიმიდღერნი აურაცხე-ლნი, თუალნი და მარგალიტნი: სოლო მეფე თამარ არა უმადლო იზოგა ღვთისა მიმართ. აღ-სრულედა ლიტანიობასა და ღამის-თევათა, მრავალი განსცა ობოლთა და ქვრივთა ზედა. და ეკვლეხანი ალაგსა სიმიდღერთა, და ლაშქართა ზედა განყო საჭურჭლე დიდი. იყო მადლობა ღვთისა მიმართ დაუცადებელი, ესე-უითარისა გამარჯვებისა-თს:

მაშინ მოიწია მწესარება დიდი, რამეთუ მიიგწუნდა ზაქარია ამირ-სპასალარი, ქე სარგის ამირ-სპასალარისავე, კაცი დიდად გასდიდებული, და ყოვლითა საინოებითა აღსავსე. რომელიცა აგლოკა მეფე-მან და ყოველ-მან კაც-მან საქართველოს-ამან. რამეთუ არა-ვინ მენელ გამოჩინილ იყო მთავართა შორის ¹⁾, ჟამთა ამათ. რამეთუ გვარისა-განცა მოკვაქუნდა ²⁾, რომელი იყო ნა-თესავით არტაქსეხი გელ-გომელისა, და იყო სარწმუნოებით სომეხი: არამედ ყოველნი საინოება-ნი ღვთისანი და საკაცობანი აქუნდეს: დაუტკეპა შვილი ერთი. მაშინ მეფე-მან მოუწოდა ივანეს. მსახურთ-უსუფესსა, მძასა ამის ზაქარისსა, და ინება აღუწახება ჰატციას ძმისა მისისასა, და უბოძა ამირსპასალარობა: სოლო ივანე საქმისა ამის-თს განკვირებული ეტყოდა მეფეს. „ზა-ტციე ესე რომლითა ჰატციე გიციევიეს ჩემდა დიდად დიდებულ არს, და მე უდირს ვარ. არამედ ამას გვეკდრები, რათა ძმისა ჩემისა სასელსა არა აკსენებდეს ჩემ-ზედა, რათა არა მრცხვეს ნა-ცვლად მისსა დგომად. არამედ სათბაგობითა ჰატციე-მეც, რამეთუ საქართველოსა შინს არა არს ესე წესად თქმულს მეფეთა წინაშე სათბაგობა. ამით განადიდე წყალობა შენი ჩემ-ზედა, რათა ახალსა უადრესსა ჰატციას ღირს მეო და სათბაგობა მიბოძო, ვითარცა წესი არს ხელტანთა, რომელ მეფეთა გამწრდელთა და ხელტანთა სათბაგობით უკმობენ. მით განადიდე წყალობა შენი ჩემ-ზედა:“³⁾ უსმინა ესე მეფე-მან და უბოძა სათბაგობა, რომელ არა ყოფილ იყო ქართველთა მეფე-ისა წინაშე, და არცა-ვის ბოძებოდა. და მსახურთ-უსუფესობა უბოძა კარამს, ზაქარია ტატვილის ძესა, კაცსა საპატრიოსა და ლაშქრობათა შინს გამარჯვებულს: და ესრეთ იუწყინან მარადის წინაშე მეფის თამარისსა:

¹⁾ Subaud. შვილი მისი.

²⁾ Le M-it T offre ici une rédaction plus courte et bien différente pour la forme.

სოლო მეფე თამარ დედის¹⁾ იუკის, და საფხულ კოლხს და ცულის ტბას. 'სოგ-ჯერ გარდავიდის აფხაზეთს, ტკუთს და ცხუმს: მათ უტეშ²⁾ ვაძთა იწყეს კაცთა მთუელთა განდგომად, ფხოელთა და დიდთა: დიდანი უტეშ²⁾ მშთავარსა და უსარმავსა ჭამენ, და მრავალი მძანი ერთხა დედა-კაცსა მოიფანსენ ცოლად, და რომელნიმე უჩინარს რასმე უშვას თაყვანის-სცემენ, და 'სოგნი უნიშნოსა შავსა ძაღლსა, და აძის ესე-ვითარსა ჭიოყენ: სოლო ფხოელნი ვურის მხა-სურნი არიან და ქრისტეანობასა იწყებენ: ამათ იწყეს რბევად, კოცად და ტუკეობად, ცხადად და ღამით: მაშინ მოუწოდა მეფე-მან თამარ ათაბაგსა ივანეს, და უოკელთა მთუელთა, დვალთა, ცხრა-სომელთა, მკველთა, კადელთა, ცხაკადელთა, ჭართალთა და ერწო-თიანელთა მისცხა ივანე ათაბაგსა, და წარავლიან მათ-სულა: სოლო ივანემ განიერად უო, ადვილად მთასა კადისსა, და წარვლო წვერი მთისა, და წარდგა მთასა ფხოელთა და დიდთასა, რომელი-ესე არავის ექმნა, არცა პირველ და არცა შემდგომად: ერთ-კერძო დაურსა დურძეკეთი, და ერთ-კერძო დიდოეთი და ფხოელი: ცხენ-არა მისლუა ათაბაგისა, მოვიდეს ძღვნითა მეფენი დურძეკითანი, მოხცეს ლაშქარი და დურძეკსა გვერდსა, და იწყეს ზეიდა მბძოლა, ტუკეობა და კლვა, და რბევა, და დავა: და მოხწყვიდნენ ურიცხვი კაცი დიდო და ფხოელი²⁾: და დაეწნეს სამნი თთუწნი, ივანისი, ივლისი და აკვისტოხი: მაშინ შეიწრებულთა ათაბაგისა-გან მოხცეს მძველები, და აღუთქვეს მსასურება და ხარჯა, და მოხცეს პირი ხიმტკიცისა. ქმნეს ზავნი, და წარმოასხნა მძველები, და ესრეთ გა-მარკვებულნი მოვიდეს წინაშე მეფისა, და ჰქრევა ივანე ათაბაგ-მან მეფესა თამარს. „ჴი ძლიერო მეფეო, იქმნა ბრძანება შენი, და მოვათურენ ურსნი ბრძანებისა შენისანი, დიდოეთი და ფხოელი.“ სოლო მეფე-მან დიდად დაუმადლა და უმადლესსა ზატკისა აღიუქანსა:

და იყო უოკელ-გან მშვიდობა და წარმატება, და დღით-ადე შემატება სამეფოსა, ღვთივ დაცულისა მეფისა თამარისათა: სოლო სხანი მისნი განისვენებდნენ ნადირობითა და ბურთობითა, და თუთ თავადნი და წარწანებულნი მარადის მეფეს წინაშე იუქნიან. ისარებდეს და აღივებოდეს ნიჭითა და სხამკერითა მეფისა მიერ თამარისა:

რამეთუ ვითარ დიდისა მხიარულად ამბისა-გან მეტყველი პირი და აწ მწუხარებისა მიმართ მიიტყვის. რამეთუ მეტყველების მე წარმოთქმა უოკლისა სოფლისა საგლოკელისა ამბისა. კოხტან-ტინეს მძის-წულისა ივბიმიანოზისა-თუხს წყრილ არს, რომელ ჰქრევა ანგელოს-მან მონაზონსა 308 გისმე, რომელი იგლოვდა სიკუდილისა-თუხს ივბიმიანოსისა-თუხს, ვითარმედ „რასა დაავლო ღმერთო მან ქრისტეანთა ესე-ვითარი მეფე, რომელსა ანგელოს-მან დაადგა გურგუნი ხახილკვლად უოკელ-თა:“ და ეტყოდა ანგელოსი. „რახ არს, ბერო, რასა გამოუძიებ შენ მხუჯართა ღვთისათა: აწ გიბრძანებ, დასცხერ გამოძიებისა-გან მაცის ბოროტისა. არა უწიე რომელ აღმოსავლეთით ვიდრე

1) T ოცნი.

2) T უხა.

დასკელთადმდე უკეთო მართალ-მადიდებელი იუოს, არცა უტი დირს იეო მეფობას ივიმიანისისა, არა-თუგა საბერძნეთი ოაენ: " ეგრეთუწ აწცა იქმსა ამის დიდისა მეფისა საქმე, არა-თუ ოაენ საქართუწლო, არამედ არცა-თუ ოაენ ყოველი ქუჭქანსა დირს იეო მეფობასა თამარისასა: ¹⁾

ნაჭარმავეკს გარდმოადა მეფე თამარ, და მის წინაშე იუჭენს ყოველნი დიდებულნი და წარჩინებულნი, და იურენს და განაგნს საქმინი სამეფოსა თვისისანი, და უფროსლა ეკლესიასთა და მონასტერთანსი, და მუნ დგობას შინს გამაზნდა სენი, გამაორებელი ჩუენი, რომელი დღითი-დღე დამიძებოდა მის-ზედა. და დიდ-სან ფარვიდა, რათა არა-ვინ შააწესოს, გარნა ურცებელ იქმსარა ჭირი, არა მიმთავლეული კურნების, მაშინდა განაგნდა, რამეთუ დედობრივ-მან უძლეურებას-გან განგრობილთა შინს შეედრობათა არა თავს-იდა შეუმთხვეველად მიშუება ბებულებისა: და აქა საბარაობელ მიწის დიდად ერთ-გულნი-იგი კაცნი, თუ ვითარ უგულებელს-ევეს კვ-ოაენნი ციქივეგლობა. რამეთუ წამოიყვანეს კუბოთა ციქილისს, და შემდგომად მირიულთა დღეთა სენ-ბათ და ისწრაფელს, სეველებისა-ებრ, რათა დახოს ²⁾ განვიდენ. და მუნ წარიყვანეს კუბოთავე. და დიდად გამსელდა სენი-იგი უწყალო: და კვლად წარმოიყვანეს აგართა ციქესა, და უქმ იქმს მის-ზედა ყოველი ბრძანებათა გამომიყებლობა მკურნალთა კელოკენებისა. ამის-თხსა იუჭენს თუთ მუნ და ყოველს ადგილსა დეცანიობანი და ღამის-თეკანი მიმდემნი, და გრემლთა დინებანი იხილკებოდას, მდიდართა და გლასკეთანი, სწორებით: გარნა განსინებანი წინააღუდგომელი იეო, და დღე-მან იწუო მიდრეკად, და მზე-მან დასლკად, და ჭერ-მან სხვად ფერად უფურულობა. და ცის-გარნა დღისსა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა. დაწოთა-მით კარდოკანთა იწყეს და-ჭნობად, და თქალთა-მით ცბა-ებრ მისისა შედგნობელთა სიმრუჟედ მიმართეს. კელთა-მით, მსა-სურებისა-გან გლასკეთას არაოაენს დაცხრომილთა, იწყეს მოუძღურებად, და ფერგთა-მით, მარადის ღვთისა-თხს მამრალთა, იწყეს შედრეკად, და ყოველნი იმშინ ცისოკრებისანი სხვად და სხვად ფერად იხილკებოდას: ზოგად-მან უღონობა-მან მოიგენა ყოველნი, და არა უწყაოდეს თუ

309 რამეა ევეს. მთავარნი იგემდეს ზირთა, გლასკენი იტყებდეს თავთა, და ისხმიდიან თავთა ნაგარსა და მტკერსა. ათაბავი და ყოველნი ნაგვლად მიუჭურობდეს თავთა თვისთა, და შეილთა თვისთა

¹⁾ M-it T: მის-თხსა მახდარ რახეთა მოკვლავს ღმერთსა ნაშეკრებულს თხსს. და მოკვდა მეფე თამარ კელთა დგობის შინსა მარია მეფისისა და მოუხობრული შედრთა საქართველოსათა, და მსელად გამწარებულნი იტყებდეს და ისხმიდიან თავსა ნაგარსა და მტკერსა, ათაბავი და იქმს ციქესა მგებნი კლათა (sic) ადგილთა და გიდეკისა მგებნი მარტოკისა ელხულებსნი, აფლუხაღამისა ზერ ზედაცხვადსა და ვაქ-ო ვერ უო, და უკვლათა ადგილთა მშლიმბრეთა ვადგებთა და ციქეთა შეიფუტვადეს შედრნი სეკოინი, და აფლოდინ მოუხობრულითა სეკოინს მისთა, ცამრეკებულთათა და მარულეთათა, მასმაროვლიათა, სეფეკათა, სამდელეთა და მოუხობრულითა სეკოინთა მისთა: წაროდულ-ნეს ნაშეკრებულსა კელთად და დამრსეს სამარსა მტკ-ოანსა, და დეურეთა სეკოინს თხსს დამს: არცენიციქს აუგნელა.

მეფე მთავარი სიონი და წინანი ჰაიუთა ქალწულთა ებგურთა ადვარ კაცეთა თხსნი აფლუხაღამისა ცოდოლმწვეს სხლიდა მანს მგებ-ბრელი ცენი ღმერთსა ქეთა იაიანე ციქესა ჰეკოლი. თუთალია შლითელმან სეკოინს შეკეს მამისთა. დავით თქვა ზეათა განკიდენს მათ ქმდლო კრცეს ზემ მით. და ეტლესმებრ მღლით შეგროვლად ევთას ეას ახო. დიდად დმართოს. Rien de plus que ce fatras; tout ce qui

suit est omis.

²⁾ Cf. p. 274.

ღმერთსა, და ითხოვდეს მის-სუდა მომავალსა სიკუდილსა, „რათა მარტო ესე დარჩეს, და ჩვენ ყოველნი მოგვსრუნენ.“ ამას კომპოდენ, და მოეცათ სახსენებელი პლატისა, რომელსა აქუნდა ცხედარი უბადრუებისა ჩვენისა, და ღოსე თემბა იყო ეცდებოდაც, რათა არა აუფლან სიკუდილისა შემოსლვად: რა იყო, რომელი არა იხილვებოდა მუნ, ანუ სავედრებულებანი ცნას მწუხარებათა. განსა მწოდებელი კართა სუდა დგა, და მსრმანებელისა წინა-ადმდგომა შემუდლებელ იყო:

ბრძენ-მან ბრძინისა სეტარება აქცა მოილო თამარ. რამეთუ შემოუწოდა ყოველთა სამეფო-სა თუხასათა წინაშე მისსა, განმტკიცა თავი თაჲსი, და მანად მკდომარე ესრეთ ეტყუადა. „მძინო ჩემნო და შვილნო, მე ესე-რა მივიწოდები მსაჯულისა-გან საშინელისა, ესაშინელებს უფროს მე-ფეთა ქვეყანისათა, რომელ-მან მიუტუნის სულნი შთავართანს: თქვენ ყოველნი თუთ მოწამე სართ, რამეთუ თავისა ჩემისა თანა მაქუნდა სიუწარული თქვენი, და სარტებელსა და სათინოსა თქვენსა არა დაჟაელ თუთოეულისა-ებრ არსენიან-ებრ ¹⁾, ვიდრემდის განსებოთა ღვთისათა ვიჟე თქვენ-სუდა შეუფედ. აჲ შეცა წარვალ მამათა ჩემთა თანა, გზასა ჩემ-გან უცხოთა, ბრძინებითა საშინელი-თა და განუოფითა საკვირველითა. გვედრები ყოველთა, რათა მარადის კეთილსა შინა იუწუნოთ მასსენებელ ჩემდა: აჲ ესე-რა მკვდრად სასლისა ჩემისა დაგიტყუებ, რომელნი მომგნას ღმერთ-მან შულნი ჩემნი, გიორგი და რუსუდან: ეგენი მიიხსენით ჩემ-წოდ, და მაგათა აღმოგვიხონ დაგლებუ-ლი ჩემი:“ შევედრნა ყოველთა და მიუთვალნა წინაშე სატას ქრისტესსა და ვვარსა ცხოველ-ს-მყოფელსა. და მერმე უკანასკნელ სმა აღმოუტყუა, და ყოველთა მშვიდობა მისცა, ესრეთ მეტყუელ-მან. „ქრისტე ღმერთო ჩემო, მხოლო დაუსრულებელი შეუფეთა ცათა და ჭეჭეყანისაო, შენ შეგვე-დრებ საძეფოსა ამას რომელი შენ მიერ მერწმუნსა, და ერსა ამას პატრიონისათა სისხლითა შენითა მოსცილდეს, და შულთა ამით ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა:“ და მაშინ განვიდეს ყოველნი, მწარედ მტრთაღისი. და დაიძინა თამარ ძილიაიგი მართალთა, თუწესსა იანკარ-სა იბ, და აღესრულა მსუ ქართლისა, და საფლავ-მან სადიდებულად თუხად დაგვაჭირვა ცხოვერება მხოფელიო ყოველთა ქრისტესანათა:

აჲ რაღა ვერ არს თქმა, კარსა ბავთისა ²⁾ ღაღადი, ბნელი უსათლო, და გლოვა უნეტემი-ნის-მცემთა: რამეთუ ვინ იყო ნუგეშისის-მცემელი, ოდეს მწუხარება ზოგად იყოს ყოველთა-თუხს: სატრუსელ იქმნა პირი ქვეყანისა, აღუბარსა ყოველთა, თავისა დიდებისა თანა, თმანიცა, მხოლოდ სასულისა ოდეს მქონეულთა. გამას თანა ვაპისხას ქვესენურნიცა შეიძრეს. ყოველნი ფლასითა: ესრეთ გვანდა, დაღათუ ჩვენ-თასა ივლოვდეს ცა და ყოველი სოფელი: მაშინ უკრტ აღმოიკანეს **310** და მდერთა შინა დღეთა მცსოად დადგეს, და მერმე უკანასკნელ თუთ მუნვე გულთს დაამკვიდრეს თუხსა შინა სამარხოსა, დადგებად მუნ შინა დამკვიდრებულთა შანათა და მამათა მიხია, სასული-ვანთა, დიდთა შეფეთა თანა: დაუტყუა საძეფო მკსა თუხსა ღეშას:

¹⁾ Cf. *ibid.* p. 283.

²⁾ De l'arm. *բար*.

იცვალა ფერი ქართულსა მსიარულეობისა. რამეთუ განზიდეს ბნეუნი მათნი, რომელთა ჰირსა შინა ჰირველ სხუა არა-რა მოაქუნდა, ვითარ თამარ: რამეთუ სხლთა ზედა აკროსტისურად, თამარის შესხმთა დასწორდეს ბუჭქდას ზედა, და დანათა და არგანთა შეამობდეს, და ზედა თამარის ქებათა დასწორდეს. და ყოველთა ჰირნი ერთბამად შუა იუწუნეს, რთა ღირსნი რამე თამარის საქებულეობასა სიტყვა აღმოთქვან: ერმანი იმეროწლენი, განსუბასა შინა ორნატოსა, თამარის ქებათა მელექსეობდინ: ერგეს მყოფნი მეგბენი გინა მქანგენი თამარის შესხმთა მუსიკეობდინ: ფრანგნი და ბერძენნი, ზღვასა შინა მენაგენი, ნიავ-კეთილბოთა შინა, თამარის ქებათა იტყოდინ, ესრეთ ყოველი სოფელი სავსე იყო მისმიერთა ქებითა, და ყოველი ენა ადიდებდა, რომელსაცა ოდენ სხელი მისი ისმოდა: ხოლო საქმეთა მისთა-თუხ რადღა საკმარ არს თქმად, რამეთუ კიდით კიდემე განიმეხს, ვითარცა თუთ მოწამე არს ყოველი ჩვენ მიერ ხილული, სიტყვისა-ებრ ბრძნისა:

არა უგთომელობა მგონიეს, ძალისა უზეშთავისა მეგადინობა. რამეთუ დაწვეება და აღსასრული ამის კელყოფისა სრულებით ესრეთ ჩანს, ვითარცა სიმძიმესა და ზატოხსებასა თანა ოქროსასა ქარქვეტისა სამუსრველი. რამეთუ ვინ რა წარმოთქვან ღირსი ამის-თუხ, გინა რა ვინ ჰირველ აქოხ, ანუ რომელი უგანსკელ. სიმდაბლე უზომო, სიმადლე შეუსწორებელი, სიმშვიდე საქებელი, სიმქისე ჯეროვანი, ღმობიერება მოწლე, მოწლეება თანა-ღმობილი, უმანყოვან უზავველი, სიწრფეობა უსიგრეთა, სსიკერება ზოგადი, სიუხვე აღუზავებელი, და თავი ყოველისა კეთილისა, შიში ღვთისა და მსასურება მისი შეუორგულებელი. რომელი-ესე ყოველი ამან ესრეთ მოიგო ვითარ ერთი სხვა-მან კერა-ვინ, და წამებს ამას ყოველი მასლობელი სამეფო, გარეშემო ქართლისა: თუ რა-ოდენი დაგლასაკებულნი მეფენი განამდიდრნა, რა-ოდენთა მიმძღვრებულთა უგუნ-სცა სამეფო თუხი, რა-ოდენი განდევნილნი სამეფოდე თუხად კვალად აგნა, და რა-ოდენი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწამე არს სხელი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნოსა, ოკისთა, ქაშავთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა, რომელნი თავისუფლებითსა ცხოვრებასა ამის მიერ იუწუნეს, და მტერთა-გან უზრუნველობასა:

ხოლო ხვეულთა მიმართ საღმრთოთა ვინ იყო ესრეთ მოშურნე, გინა სიმდაბლით თავისა

311 მომდრეველ, რამეთუ თეოდოსი დიდსაცა აღემტებოდა. ლოცუნანი და ღამის-თეგანი რომელნი ზალატსა შინა ამისსა აღესრულებოდაც, საეჭველ მიჩნს მეუღანბოთა-განცა: ხოლო მარხვისა-თუხ რდა ვსთქმბ, რამეთუ წესი იყო მოსაზონთა და მამსილებელ უდებთა, ერთი ზალატისა: ეგრეთვე სიუწარულისა-თუხ სუცესთა და მოსაზონთა-თუხ ნამეტნავი არს თქმად. რამეთუ წესიერად ცხოვრებულნი კაცნი მარადლე იუწინან წინაშე მისსა, და მასლობელად სასკენებელისა მისგის მათ სყოფელი, და თუთ ზრდილის საზრდელთა და ყოველითა საკმრთია, რცა უნებნ. და უკეთ მთგანნი ვინმე იყვის უმღურ, თუთ მივლენ მოსილვად და ნუგეშინის-გემად, და თუთ განუმზადებნ ცხედარსა და სარეცელს: ხოლო გლასავთა-თუხ განკინეს სარწმუნონი ზედა-მდგომელნი, და

ყოველსა სამეფოსა მისსა შემოსავლნი, რაცა იყო, შინსთა და გარეთ, ყოვლისა ნათალი გლასკით მიეცემოდა დაჟელებულად, ერთისა ქრთილისა მარცვლამდეცა. და ამას ყოვლადვე არა ჭკონებდა ქველისა საქმედ მითუალყად წინაშე ღვთისა. რამეთუ რა-ემს მოიგდაღის მარტოებით უოფად, მუის აღიღის სასთიკელი და სვეკრავი, და ნაშრომისა-მის თხსთა კელთასა სუგესთა და გლასკითა განუყოფენ, თხსთა კელთა: ესრეთ წესითა გამტკიცებულთა, ღვთისა სასიერისა სათნოებასათა არა დაწვებისასა მიხედვიდა, არამედ აღსასრულისათა, და ვითარცა მზე სწორ ჰატიობით ყოველთა ზედა განუტეობდა სათელსა თხსთა შარავანდედთასა: ესრეთ წყალობითა ყოველთათა მოიზიდვიდა წყალობად ღვთისა, ესრეთ გამოიფრდიდა: ვამთა-გან, ესრეთ განაძლიერებდა მეგობართა, დაღათუ არა-რათ სიგრუვით მოგებულთა, და უსამართლოთა:

არა-ოდე ს მომედგრადა ვამისა-გან, არცა უდებ იქმისა ოდეხტა განტეებისა-თხს, არა-ოდე ს აუქმსა გონება მისდა რწმუნებულთა საქითა-თხს, არა დაუმძიმა ერთიამასა გონებისსა დაზიდეკელი რამე ჩვენიბრევი, არცა სიმდაბლესა მიიღია, არცა სიტკობა ვამიერი უმოთხო ეო, არცა საშინელება შეურაცხს. ყოველი განსხვა ყოვლითა, რათა სრულებით სრულისა-გან წარმოაჩინოს, თახსა შორის თხსსა:

ულათარი ¹⁾ მანრსებელისა განუგებულად დაიგვა, რათა მოქცევისა შინს სიმტკელისსა არა-რად ელმად და უცხოად მიდრეკეს, არცა გარდაყვეს სხესებელისა დუდილსა შინს, არცა მოაყლდა შთაზიდეკასა შინს საბლისსა: არამედ მეტად დამდაბლებულ-მანს გონიერისა გონებისა-გან იყოვლის-ფერს გარემოდ, რათა მოქცევი თხსი მარტობით იხილეოს გუჟრასა შინს ანჯიკისსა: შეუყოფელად ენებათა იხურებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდე ს და სანატრელ იყო. და არა-არა იყო სხვა კეთილი რაცაიგი არა იუო მის შორის:

ურჩნი თხსნი დაამდაბლსა და მოყჟარენი აღამაღლსა, არა იღუწიდა უმეზობლობასა, არცა შერთვიდა სასლსა სასლსა ზედა, არცა ავარავსა ავარავსა ზედა უცხოთს. | არამედ თხსი მამული მეელი ვამ ჭყო, რათა არა უსამართლოდ ჭკონონ, და მიისუქულად: | ვინათ-გან სამართალ-მანცა 312 ზენა-მან უბჭო მართალსა. | არა შინებით უთქმიდა მეზობელთა, არამედ უფროსდა სცვიდა მშინებელთა-გან, და მათ საშინელ ჭყოფდა მეტროთა ზედა: შორს განიოტა წურბლისა მსხავსი კერამაძღრისობა ²⁾, ვინ არა გესლოვანს ნუყოფი, და არცა ბუგრიანს ნაშრომი: ბჭედ ვდა შორის თახისა თხსისა და მეზობელთა მეფეთა, არა მიშეებდა ბრძოლისა, არცა გარდადებდა უღელსა მძღა-ურებისასა ურთიერთისა, და სახედავს თხსსა მიხცემდა: და ამის-თხს მათ-ზედა იყოვე სოლომონ იქმნა მეფეთა შორის, და არა ერთი საბელი აღძრა სურვილად. არამედ ყოველნი რომელთა ესმა სახელი მიხი, ვინა დიდთა მეფეთა, ცუდად შერაცხსს თხსი ბედ-გყოილობა კერ სიღვიბა-თხს

¹⁾ De l'arm. *ուղղաբար*.

²⁾ Mon M-it *ვერ. მსხვერპლი*; dans ce qui suit il faut suppléer un verbe.

მისის. გინლა და ყოველს ზღვას აღმოაწრდა თვსაღ ვითარცა ღრუბელი ყოველთა ზედა მსხურებელი ტბილთა წვიმათა:

განსჯემს ყოველი მატანნი ძველთა გინა ახლთა მეფეთა მძებელნი, რამეთუ გარდაემატა თამარის საქმეთა ჭეშმარიტებით საქებლობა პირველთასა. სასარულ იყო თსრობათა შინა, დადგომულ განმსწავლეობათა, შესიებულ ღებლობით და განმწვრთნულ სიტკბობით, მკვეთელ მოწყვადებით და შეძრისხველ თასა-ღმობით, რათა ყოვლად ყოველითურთ განუგებებულ აჩვენოს თვსება ღვთისა: სასთელი იყო გინიერთა და უგუნერთა, პირველთა განმანათლებელ, და მეორეთა დამწუკველ. აღვირი იყო უწყსოდ მერთომელთა და ღუზ უღებთათვს, განიხი სირცხვილის მოსურებულთა, და კვერთხი რკინისა ჭაბუკთათვს. კეთილ-მავალთა სიბრძნით მცველ, ხოლო მბორცაღვთა თვალ-უსხად მკვეთელ: მღუღელთ-მომღუნათა შეიმოსეს შიში, მღუღელთა დანიცვს წესი თვისი, მონაზონთა მოიდეს წესიერი მოქალაქობა, მთავარნი განისწავლენს სიწმიდით სჯვად, ერნი განემტკიცნეს შიშით მონებად ღვთისა, და ერთ-გულდობით უფავლთა თვსთა. ყრმანი განიწვარონეს მოსაკებად უფროსს უსჯულდობისა, რამეთუ ბაღწება-მან უწყსო-მან და ყრმბრავა-მან მბორცაღვთა-მან ბორცნეულობა-მ, კერცა-თუ კვალი პოვა ღვთთა თამარისთა: ვინა და თვთ გინებადცა შორს იეშენს რომელნიცა ზალატს შინა ღირს იეშენს, გინა კარს ზედა მსასურებად. და ესრეთ ყოველს შინა დაცვითა ღვთისა მენებათათა, მოიგო წყალობა ღვთისა, და აკურთხა ღმერთ-მან ცხოვრება მისი, და განამრავლა ნაყოფი მისი, და თავ-წარსსმულ ყო, მსგავსად წერილისა, „ნათელი აღმოუბრწყინდა მართალსა განთიადისათანა, და მეუღლე მისი სისარული შუა-ღლე, და მწუხრი მშვიდობით დაიძინა სარეცელს ზედა თვსთა. შეამკუნსა ღმერთ-მან ღღენი მისნი ზატიოსნებით, და ჟამნი მისნი მშვიდობით:“ და მეფობასა შინა მისსა არა შეიჭურა პირი მისი. ამის-თვს, რამეთუ არა-ოდეს გარე მიაქცია კელი სასოგელისა-გან ქვრეთა, ობოლთა და მიძლავებულთასა: წარვლსა ღღენი მისნი სისარულსა შინა, ამის-თვს, რამეთუ მარად-ღლე

313 სსარებად ყოველთა გლასკათა და დავრდომილთა, და უკანსხელ წარვიდა მამათა თვსთა თანსა, და შექმინა, დუტკენს ორნი ძენი, გიორგი და რუსუღანს, შვენიერნი, სწაღლენი, სსურველნი და სს-ქებულნი, შექმნით სუფის პირნი, გონიერებით აღსავსენი, სიბრძნით შემკობილნი, და ყოველთა კეთილთა სრულნი: თამარ, ოღდა სამთა შინა წელნიადთა შესწავლია ყოველი გუარი კეთილ-მეფობისა:

ქა დაკვში სიტყვის წიება, მომავალთა-თვს ყოველთა-გან აწინდელთა სსკათა ძღვევის მიცემითა ყოველთადა, უმუობესად შესატყვის შესაძლებელად, სსისს-მტყუველებსა უარღვისისა სიტყვისისა ჰოვნიით, და ამის-თვს ჩვენ მიერ ღუმიდით ზატიო-ცემით დავიდუქმით:

და. სამეოცდანიწველი ¹⁾ მეფე, ლაშა-ვიორგი, რომელი ითარგმნების აფსართა ერთა „ქუჭუნის მანათობელად,“ მე თამარ მეფეთ მეფისა, ბაგრატიანი:

ამს სანატრელს სიგოცსლესა შინა თვსსა დაედა გურგუნი მის მისისა გიორგისდა, რომელსა ლაშაობითა უწოდა. იყო წლისა ათსამ-მეტისა რაჟამს დაიდგა გურგუნი მეფობისა, და მეფე-მან თამარ მეულთა მეფობა: სოლო რა-ჟამს მიიწვალა თამარ, იყო ლაშა ათრგამეტისა წლისა, დაუტევა მეფობა ქესა თვსსა, სოლო ქართუჭლოთა ნათესავსა თაგრემა, მწუნსარება, კავება და გლოვა: რამეთუ ცოცსლდევი ჟოჯოსეთს შთასრულ ეყუნეს მკვიდრნი სამეფოსა მისასანი, და გერეოდა ჯერ იყო: შემდგომად მისსა დაიპურა მეფობა ქე-მან თამარის-მან ლაშა-ვიორგი, რომელი იყო ტანითა ძლიერი, მკნედ მოისარი, ნადირობათა შინა მოსწრაფე, ლადი და თოვს-უნება, და უმეტეს ამის-თვს განადლებულ იქმნა რამეთუ დაემორჩილეს ეოკელნი წინა-ადმდგომის მისნი კეთილად მოგზავნებულსა და ღვთის-მოუყარეს დედასა მისსა, და უშფოთველად და დაწუნსარებით დაეტევა სამეფო თვისი. და ეოკელნი მასლობელნი მათნი მოხარაჟე შექმნეს, ვითარ განსქელნი და მიმდგომნი, ნასჭვენულნი და კარნუქალაქელნი, და სხვანი მრავალნი, ძღვნიითა და სარავითა მოვიდოდან მისსა: მას ჟამსა იშეგება და ისარება, და ეოკელსით იყო შეგება და მისარება:

მაშინ იწვეს განსით განდგომა, და არღა-რა მოსტეს მეფესა სარავი: სოლო ამის-მან მსმუნელ-მან მეფე-მან ლაშა მოუწოდა ეოკელთა სპათა საქართუჭლოსათა იმერთა და ამერთა, მკარგმელსა ითანეს, რომელსა მაშინ ჰატევი ათაბაგობისა მინიჭებოდა, დედისა მათისა თამარის-გან. რამეთუ იყო ათაბაგობა უმეტეს სსკათა ერის-თავთასა განდიდებულად: ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა: მაშინ თქვა მეფე-მან, ვითარმედ „ვინათ-გან მეფეთა შორის ბრწინავალე-მან და სანატრელ-მან დედა-მან ჩემ-მან. დამიტევა მეფობა, ეოკელნი წინა-ადმდგომნი ჰაჰათა და მამათა ჩემთან 314 მოსარკედ შექმნა დღესამომდე, და მორჩილნი ბრძანებისა ჩემისანი არაან, აჲ განსისა ათაბაგსა საწუნელ უქმნი, და სარავისა არღა-რა ჰქნებას მოცემა, მე ესრეთ განმარჩასავს, რათა შურნი ვიგო განსასა ზედა, და თქვეს შრომასა შეკამთსვიო, რამეთუ ძღვნიითა და თანა-დგომითა თქვენითა და უცემითა სანატრელთა ჰაჰათა და მამათა ჩვენთა დიდთა სულტანთა ძლიერებისა ეოკელითურთ, და აჲ მიიღეთ ჩემ-გან ჰატევი და ნიჭი. და აღვიბეგდროთ განსას ზედა, რათა სსკათა მკართა-გან არღა-რა საწუნელ ვიქმნეთ: შექვენითა ღვთისათა და წარმდგანებითა კვარისა ჰატევისსისათა, და საქველთა თქვენითა, გსძლოთ მტერთა, და ეოკელთა წინა-ადმდგომთა ჩვენთა:“

ვითარცა ესმით ეოკელთა წარჩინებულთა სამეფოსა მისისათა, განსარავს და დაუტევეს და ჰქრქეს, ვითარმედ „დიდი ნუტეშინის-ცემა, მოგვეპატა ღვთისა მიერ, რამეთუ გზოვეთ ახოანი

¹⁾ La rubrique manque, T; R, 60r; Mon M-it, 64r.

და გოლიათი, გორგასლანი და დავითიანი, მსგავსი მათი: მინდობით ღვთისათა და ძალითა თქვენიითა დაკომარაილნეთ უჩინი მეფობისა თქვენიისანი, და შეკანანთო ყოველთა უჩინთა თქვენი:“ მამის დაამტკიცეს ლაშქრობა და განძის დარბევასა, წარუგმართეს თუთ მეფე სპითა თვისითა: სოლო ვერ წინა-აღუდგეს განძელნი, და მოაკრეს ქვეყნა განძისა. აღიღეს ტყვე და ნატყვენი ურიცხვი, და მოადგეს ქალაქსა განძისასა: მოადგეს გარე, და მრავალ-დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა მოვიდინ ქალაქის კარსა ბრძოლად ¹⁾. აქათცა და მუნითცა უჩინულენი ებრძოდინ: მამის ინება მეფემან გარე-შემოვლად ქალაქისა, მცირედითა ლაშქრითა, და ვითარ მოვიდინ მტკერისაკენ, ქვემოთ, ცნეს ესე განძის მეოფთა, ყოველნივე აღიჭურნეს, კაცი ჭურვილი ვითარ ათი ათასი. სოლო მეფეს ჭევაოთსი ათასი ოდენ: ამათ შინა უმეტეს მესხნი იუვნეს, რამეთუ ერთ-გერძო მკარ-გერძოლი დგეს, და ერთ-გერძო წერეკასნი, და ხომხითარნი, ქართუშენი და თორენი. ერთ-გერძო აფხაზნი, და დიან-ბედანნი, და ღვთისთა იქით ზედ მოკიდებით ერთიერთას: სოლო მამის ვითარ მოვიდინ მეფე, იცნეს იგი და მსწრაფლ განასვენეს კარსი ქალაქისანი, და ვითარ მეტენი ზედა-მოეტყვენეს: და ისლად მეფემან ლაშა სიმრავლე მათი უშიშითა გუფითა, განმგნობითა სპითა მათათა, კერეთვე სპანი მეფისა-თვს სიკუდილად გამწირველნი თავთა მათთან, ეტყოდეს. „სიკუდილადის ვიღვარათ და დავავთ თავი სასიკუდილოდ, და არა ვარცხვინითა შირველსა ომსა მეფობისა შენისასა, და მისი იეტყვენეს ურთიერთას, და იქნას ბრძოლა ძლიერი და ფრად სასტიკი. და მიერნეს შირსა მსვილისასა უმრავლენი რჩეულნი განძისანი: თუთ მეფე ლაშა წინა-მოეტყვა მტენად და ძლიერად, რომლისა თანა წინა-ბრძოლობეს ყვარუკარსა ჭაქელისა

315 შვილი შირ-მშო, ბიბლა გურგელი, ბლცო, ბოგოსა მე მუხნი: რამეთუ ესენი წინა-განუწყნეს: სოლო ვითარ ისიღეს სიმტენი მათი განძელთა, მსწრაფლ ივლტოდეს შირისა-გან მათისა, და სდევნეს ვიდრე კართამდე ქალაქისა, და მცირედნილა შეესწრნეს ქალაქად. და უმრავლენი ტყვე ეკეს და ზოგნი მოსრნეს: სოლო ამისნი მსიღველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკარდსა მათსა, და საუკლოსა მათსა თმითურთ იფხვრიდეს, და განძელიერს ყივილი და ზრიალი ყოველენით: ესმარა ესე ყოველენით გარე-მოადგომილთა ლაშქართა, მეფესა მომაროეს მსწრაფლ. სოლო მეფე ღვთისა მიერ უჩინებულად დაფუღი-იგი და მისნი წინა-მბრძოლნი თავადნი სასელოვანნი მოეტყვენეს. რომლისა-თვს დიდებულნი მებრძოლნი და ლაშქარნი დაამტკიცებდეს, არღარა ჭეფად მოლაშქრედ, და არცა ყოფად კარსა მეფისასა: სოლო მეფე ჭუნისას-გან ჩამოგდა და ემედრა, უმეტრებით ქმნილისა-თვს შენდობა ითხოვა, და ესრეთლა მივიდეს კარვად მეფისა, სისარულთა, და მხევე-სამდის მსიარულება და ტაცმა იყო ლაშქართა ზედა:

ესრეთ შესჭირდა ათაბაგი განძისა, და ემედრა რათა განუჩინონ სარკი შირველივე: სოლო ესე ისმინა მეფემან და უფუნ-სტა ტყვენი, ფასითა და მრავლითა ძღვენითა, თვალთა და მარტა-

¹⁾ T aj. ხლობა, qui me parait l'analogie de ხლობაჲ. *infra*, p. 340.

ლიტიათ, ოქროთა და ვეცელითა, და მიერ წარმოემართნეს და მოვიდეს ტფილისს, და აღვიხო საქართველო საბოძრითა: რამეთუ იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უსვი და არა-ვის-თხს მოსურნი, მლოცველ, მმარსველ და მოწყალე, და გამკითხველ: არამედ უკანასკნელ მიდრეკა სიბოროტად, თანა-მიყოლითა უწყსოთა კაცთათა, ვითარცა სოლომონის-თხს წერილ არს, რომელი შეატოუნეს დედათა: ერგოვე ესე უწყსოთა კაცთა, ვითარცა ქვემოთ სიტყვა-მან საცნაურ ყოხ: სოლო ვითარ განისვენებდა სადღირობითა და სისარულითა, მოსმურთა თანა, მიდრეკა სიბოროტად, ვითარცა წერილ არს ისრაილთა-თხს, „და დასდა ერი-იგი ჭამად და ხმად, და ადგეს სიძღვედ.“ სოლო სმა-მან მღერასა და სილოდასა, და ნაურვანება-მან სიბილწესა უმეტეს გარდაინა: განა-შორსა ვასიინი ხანატრელისა დელოფელისა და დელისა წესთა მასწავლელისა, შეიყვარსა თანა-მოჭასაკენი, მოსმურობათა და დედათა უწყსოთა თანა აღრეკათა, რომელ ესე-ოდენ უსხურებდა მიიწია. ოდესმე, მსმელი ფრთადისა ღვინისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რანდითა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თხსი, სოლო რანდისი, მეფისა მისლვასა არ მგოსებულნი და ღვინით ეცნობო-ქმინდნი, სედა-მიეტყვენს და ძლიერად გვექეს, ვიდრემდე ერთი ¹⁾ თვლი მარჯვენე შეღვისა-გან დააკლეს: ამისნი მგნობელნი თავადნი საქართველოსანი, ფრად მწესარენი, და უფროსდა ივანე ათაბაგი და ვარამ გაველი საქარის ძე, განუენებოდა დარბაზს ყოფისა-გან: არა თავს-ვიდებოთა, ეტყოდეს, შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განუენო ბოროტთა კაცთა 316 სიასლესა და უწყსობასა რომელსა ჭყოფ:“ სოლო მეფე-მან შეინანა და აღუთქვა სიმტკიცითა მიერ არა-რასა ქენა თხსიერ მათისა განზრასვისა: არამედ ცოლისა სმა ვერ არწმუნეს, ვითარცა არს გულის-თქმისა მიერ შემწველობა დედათა მიმართ: მისრულ-მან კასეოს, სოფელსა ეროსსა, კელის-ღვისესა, ისილა ქალი ფრთად ქმნული კეთილი, და მუის აღტაცებულ იქმნა გულის-თქმითა მიერ, დამვიწყებელ-მან დავითისა და ურისა ცოლისა მიმართისა საქმისა-მან: მსწრფელ თხსად მიიყვანა და შეიყვარა ქალი-იგი ფრთად, და მუტლად-ილო დედა-კაც-მან მან და ჭშუა ყოხ, რომელსა უწოდეს სასულად დავით: ესე დავით იგი არს რომელი შემდგომად დიდათა განსაცდელთა მეფე იქმნა, რომელი ქვემოთ სიტყვა-მან საცნაურ ყოხ: სოლო ესე ყრმა აღსაზრდელად მისცა დასა თხსისა რუსულანს, რომელთა დამმებრვისა ²⁾ სიყვარული ფრთადი აქუნდათ ურთიერთარს, უმეტესად ყოველთა და-ძმათსა:

ამათ დაწესარებულებათა და წარმართებულებათა შინა იყო მეფე და ყოველგნით ნიჭი და ძღვენი მიუედიდადის, მოხარკეთა მიერ, კარვად მეფისა: მსიარულითა ზირითა მოვლიდის სამყოფსა თხსსა, განსაკებულთა საქმეთა-თხს. გარდავიდის ავამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფსაზოხს, და განაგნის საქმნი მანდაურნი, და სთველთა შთავიდის ტფილისს: სოლო საზამიროთ დღვის

¹⁾ Ce mot est superflu.

²⁾ Lis. დამმებრვი.

დუინს ¹⁾, ხომსითისსა, და მუნით ბრძოდის განმელთა: საფსულთი ადვიდის თავად მტკერისად, და დაღვის კოლას, და მოვიდოდინა წინაშე მისსა მოსარგენი, ძღვნიით, სლათით და სახერმნეთით:

ამათ განსვენებათა შინა მეოფ-მან, არა ინება ქორწინება სჯულიერას მეუღლესა თანა, ამის-თვს შეკრებს კათალიკოსნი, ეპისკოპოსნი და ვაზირნი, და მოასხუნებდეს. „არა ჯერ არს რთამცა მკეკელი გეხვას და არს ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული ზველე, ჰირი ქრისტესი. „ქორწილი წმიდა არს და ხაწოლი შეუტინებელი. ხოლო მეძენი და მეძრუსენი საჯნეს ღმერთ-მან:“ სოლო მეფეს არა ენება, არცა უხმინა. ამის-თვს წარგვარეს ქალი-იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს იგი: სოლო არცა მამის ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებულად:

იყო ესე ღამა გიორგი მკნე, ასოჯისი, ძლიერი, ღალი, ამწარტავანი, თავ-კედი, თვით-სუნ-ბა, ვითარცა გვიოქვამს, უსვი, სასიობის მოუჭარე, ღვინის მოუჭარე და გემოთ მოუჭარე: მას ჟამსა იყო მშვილობა საიფოთსა შინა მისსა, და შექცეულ იუვნეს ხმასა და ჭამასა. რომლისა-თვს დასწერენ მამანი, ვითარმედ სამინ არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთა-გან იშკებინა ყოველნი ბოროტნი. გემოთ მოუჭარებანი, ვეცხლის მოუჭარება, და დიდების მოუჭარება: ამანთი ჰირ-მშობნი წამოხდინა არიან. სიძვანი, მრუშეზანი, რისხვა, მწუსარება, ამწარტავანება: ამათ ბოროტთა-გან 317 გამოკლეს კორტა-მოუჭარებანი, უწესოდ ნების მიდევნებანი, რომელსა თვითოეულად არა არს ჟამი აღწრად: ვითარცა წინასწარმეტყველიდა იტყვიან. „ჭამა იაკობ, განძა, განსხვა, განსუქნა, და დაუტკვა ღმერთი შემოქმედი თვისი, და განუღვა ღმერთისა მაცხოვრისა თვისსა:“ ეგრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შორის ქართულთასა: რამეთუ განძელ და იშკებდეს, და მიდრკეს უწესობად სიძვათა შინა და მთვრლობათა შინა, და უგუნურნი და უწესონი კაცნი, მეფისა კარსა ზედა არა ყოფიან ღირსნი, და აწ კარსა ზედა მეოფინი: დაღატათ კათალიკოსთა ორთავე, და თავადთა ამის საიფოთსათა, და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდათ სჯემე ესე, არდა-რს იხებეს მას-თანა სამარადისო უოლა, არამედ განეშორნეს და თვს თვსად იყოფოდეს. ამის-თვს აღმოსცენდეს ცოდვათა ხიმრავლენი, მიზეზნი საქართველოსა მოთკერებისანი, რომელი ქვემოთ სიტყვა-მან ცსად ჰქვას:

ამბავი ჩინგიზ-ყაენისა, თუ ვითარ გამოჩნდეს ქრტიანსა აღმოსავლეთ-თისსა: ²⁾

ქრტიანსა მზის აღმოსავლეთისსა, კერძოს რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკრეველნი, ადგილსა ეარუერუმად ³⁾ წოდებულსა, უცხო და უცხო სასითა, წესითა, ქცევითა და შესხვადვითა. რამეთუ არცა ძველთა წიგნთა შინა ხადამე აღიკების ამბავი მათი. რა-

¹⁾ T დურს; cf. p. 300, 307.

²⁾ Cette rubrique manque, T.

³⁾ T ეარუერუმად.

მეთუ არიან უცხო ენა, უცხო სასე, უცხო ცხოვრება, ჰერისა გემო არა იცოდინს, კორცითა და ჰირ-უტკევითა სხითა იზრდებოდაც: სოლო იუჟნეს ტანითა სრულ, გვაძითა ახოვან და ძლიერ, იყრ-კითა ¹⁾ შკენიერ და სპეტაკ კორცითა. თვალითა, მცირედ ჭკორტ და გრემან, განზიდულ და ხა-ჩინო. თავითა დიდ, თმითა შუკ და კმირ, შუბლ-ბრტყელ, ცხვირითა მდაბალ, ესოდაც რომელ დაწინა უმაღლეს იუვიან ცხვირთა, და მცირედნი ოდენ ნესტენი ჩნდიან ცხვირთა: ესე-ვითარი აქუნდათ უისტაკოს სასე. და ნუ ვის გაკვირს რამეთუ აღმატებული რამე შექნაერება აქუნდათ მათ უოკელთა, მამათა და დედათა: სოლო ამას-თანა მოკვით ხიძენე, და მოისარნი იუჟნეს რჩეულნი, მკრითა შვილიდითა უერთობრად მსროლენი, რომელთა ნაკანეს ვეარ-რამან საჭურველ-მან დაუდგინს: უფროს ცხენსა ზედა იუჟნეს მკენე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იუვის. საჭურ-ველისა არა-რასა მქონებულნი, მშვიდდის და ისრისა კიდე: ესე იუჟნეს კანნი განსაკვირვებულნი, რამეთუ ისილნი-რ, სუდედ საგონებულ იუჟნისან, სოლო უოკელი-სიბ-ჰსენე იპაუბოდა მათ შორის, და უოკელი გონიერება მოკვით, მცირე მტუეველება, და ტუევილი სიტყვა უოკელადკუ არა იყო მათ შორის: არა თვალ-ასვნიან ჰირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმეტეს საბჭოთა შინა: რამეთუ კეოილნი წესნი უჰერხეს, ჩინგიზ-უყენისა-გან გაიწილენი, რომელთა თვითოველად 318 წარმოთქმის გძელ არს: ამით აქუნდათ სჭულად, ერთისა ღვთისა უგუდავისა ათუჟანის-ცემა, ჰირი მზისა აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა და სამ-ჯერ თაუჟანის-ცემა, და შუა-თითის წვე-რისა ნესესა ზედა დადება და დატკაცუნება, და სსუჟ მეტი არა-რამა: სოლო მოიპოეს წერილიცა ამი მცირედითა ასოთა, რამეთუ ათ-ექუეს-მეტითა ასოთა დასწერენ წიგნთა, რომელ ადვილ ხანწა-ვლელორც არს, და ადვილ გულის-სისის-საყოფელ: ამათვე შექმნეს ქორანიგონის სასე, ათ-ორ-მეტი წელიწადი, ათ-ორ-მეტთა ჰირ-უტკევთა ცხოველთა სასელსა ზედა, და თითოსა ჰირ-უტკეპსა და ცხოველსა თითოსა წლისა მოავრობა განუჩინეს, ვითარ ძველ-ოდესმე ელინთა ბრძენთა ათ-ორ-მეტთა ზოდით ²⁾, რომელ არიან ეტლნი მზისა და მთვარისანი: ამით ეტლთა თითოეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათოცდაათი დღე: არა-თუ ცხოველნი არიან, არამედ ზოდინი ³⁾, კეროუვე ამით თითოსა წელიწადსა მთავრობა განუჩინეს თითოსა ჰირ-უტკევისა, რომლითა თორ-მეტევე კათადების, და თავსავე დაიწეებს, ვითარ ათცრამეტეული, ათცამეტეული, ზედ-ნადები და ზედ-ქუესეული: რამეთუ თცრამეტე წლად გააწეებს, და მეტე თავსავე დაიწეებს, და კეროუვე ესე თორმეტე წლად გააწეებს, და მეტე თავსავე დაიწეებს. რომელსა უწოდენ სასელად ეადლუნჯილ, უქურ-ჯილ, ფარსინ-ჯილ, თავლინ-ჯილ, ლეილ-ჯილ, მოდილ-ჯილ, მორილ-ჯილ, ყონი-ჯილ, მეჩინ-ჯილ, თაღან-ჯილ, ნოსინ-ჯილ, უაყინ-ჯილ: ესე არს სასელი ათ-ორ-მეტთა ცხოველთა რომელთა მისცეს მთავრობა თითოსა წლისა, თითოსა ჰირ-უტკეპსა. რომლისა ჰირველად თავ ემბს

¹⁾ Ne faut-il pas უკრაინა?

²⁾ R et mon M-it ზომის; il faudrait du moins ზომის. mesures.

³⁾ M-its ზომის.

უაღდუნ, რომელ არს თავი, მერმე სროსა, ავაზა, უურდგელი, გეშაში, გველი, ცხენი, ცხოვარი, უაზუხუნა, ქათამი, ძაღლი და ღორი. ესენი აქუნდეს წელიწდის სათვალავად, ვითარ ჩვენ ქართულთა ქორონიკონი:

სოლო აქუნდათ წესად ერთისა დღისა თაყუანის-ცემა, რომელსა თენგრი უწოდდეს ერთა მათთა, და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს „მანგუ თენგრი ქუნუნდურ.“ ესე არს, „უკმუდგისა დღისა ძალითა.“ სოლო ესენი იცირდეთა სსრდელთა განსმორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულურსა ჭამდეს, კორცხა კატისა, ძაღლისა, და ყოველსავე: ამთინი ნათესავნი, მრავალ-გვარად განყოფილ იუწუნეს, და არინცა ვერეთ. სოლო ათ-არ-მეტათა ოდენ მოკიცხესთო სასელი: რამეთუ ზირეულ გვარი არს საყირთა, ჭინდნი, ყათნი, ჟალირი, ოირდი, სულდუხი, ნიჭმნი, ყონდარდი, მანდუთი, თანდუთი, ყიათი და უღურნი: სოლო უღურნი კერძა-მხასურნი არიან, რომელსა უწოდენ ქუნჯითად¹⁾: ესენი ერთა მათთა უწოდენ თავთა მათთა მანდულ, სოლო ქართულნი თათრად, რომელთა ვგოსებ ერთსოფელად:

სოლო ამთათა ნათესავთა ყიათთა გუარისათა გამონდა კაცი ერთი, სასელით თემურჩი, რომელ არს ჩინგი-საყანი. ესე იყო, ჭეროვანი და შენიერი, ტანითა ასაკანი, თმითა მომწითორი, ძლიერი, მგნე, შემართებული, მოხარბი კელოვანი, ღრმად გამგოსე, განმზრანი კეთილი: ესე წარვიდა ნიჭისა და ზატეივს მოდებდა უმთავრესისა მათისა რომელსა სასობით უკომბდეს, კელმწიფეს მათსა, რომელსა ერქუა ონ-სასად: სოლო ვითარ იხილა, შეიყვარა სიკეთისა მისისათვს, და დიდსა ზატეივს აღიუქანა, უწარჩინებულეს ყოველთა სწოროთა მისთა, და მკადართ მთავრობა კელთ-უდვა ლაშქართა მისთა, და ყოველგნით მოსწყევდდიან ურნთა და განდგომილთა მისთა, ვინცა ყოველგნით გამარჯვებული მივიდის ზატრონსა მისსა ონ-სას კელმწიფეს წინაშე: სოლო მან უადრესსა ზატეივს აღიუქანის: ესე შეიშურვა მამან ონ-სასისამან, სასელით უთქინ, და ქემანვე მის-მან ქოლაქ, და შესმინეს ონ-სასს, ვითარმედ „ჰნებავს დაზურობად მეფობისა შენისა,“ რომელსა სასობით უკომბენ. და მან განიზრასა მოკლვა მიხი, გარნა აგრანს თემურჩი განზრასვა ესე, რამეთუ უთხრეს ორთა ვიომე კაცთა²⁾, ვითარმედ, „ნებავს სიკუდილი შენი ონ-სასსათა.“ სოლო იგი ივლტოდა, და ორნიცა იგი კაცნი მის-თანა, და მოვიდა სასლხა შინა თვსსა, აიყარა დედა-წულითურთ. და იარა ერთ დღე და ერთ ღამე, და მერმე დაჭარა დედა-წული, და ბარგი და სვასტაგი, და მივიდა წელიწადის ზირსა, რომელსა ჰქრქვიან ბლაჯუნი, და განსმორა ლაშქარი მტირედ, და უკუ-დგა კვეს რასმე:

და ცნა ონ-სას სივლტოლა თემურჩისა, მსწრაფლ დევნა უყო, და მოეწია დედა-წულსა და ბარგსა მისსა: აღიღეს ტყეე ურიცხვი, და დამძიმდეს აღაფითა ლაშქარი მისი: მამის ზედა-

¹⁾ T ქუნჯით.

²⁾ T ავ. რომელსა სასელი ერთისა ქოლაქ და შერვას . . . rien de plus.

მოუკლდა თემურჩი ყოველთა ლაშქართა ონ-სანისთა. იქმნა ბრძოლა სასტკივი და ძლიერი, მოსწყულა ორგნითვე ურიცხვი, და იძლია ონ-სან: სოლო მათ დევნა უწყევს, მოეწივნეს და შეიპყრეს, და მოკლეს ონ-სან: და მერმე მსწრაფელ დაესხა დედაწულს ონ-სანისას, და კვლითიგლო ცოლი და შეიღიზი, და ეოკელი სიმიდიდრე მისი, თზნიერ ქულაქ უხუტეხისა შეღლისა მისისა. და დაჟდა ტახტსა ზედა ონ-სანისას, და უწოდეს თემურჩის სახელად ჩინგიზ-ყაენი: და შემდგომად მისსა ბრძოლა უყო ყონღარდო კელმწიფეებსა, ალოუსანს, სძლო და მოაქუდინა იგიცა, და დაიპყრა მეფობა მისი, და მერმე ქულაქ (sic), შეიღი ონ-სანისი, მივიდა გორ-სანსა ვისმე-თანა, რათამც თანა-შემწე ეყო: და ბრძოდა ჩინგიზ-ყაენსა. სოლო მან ბრძოლა უყო გორ-სანსაცა ესე. და სძლო მასცა და მოკლა გორ-სანს, და დაიმორჩილნა ლაშქარნი გორ-სანისანი:

ამასხა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა, რამეთუ უიღურნი კვლმწიფეებსა მათსა ეღუთობით უქმობდეს: სოლო მას უძმს ხარწყე ვინმე იყო მთავარი ¹⁾ უიღურთა, რომელია საქმიანი განსაკვირვებელ არიან ვითა ზღაპარსა, და არიანცა ზღაპარ და ცულ, ამის-თხს უჯერო არს აწ თქმა: სოლო ჩინგიზ-ყაენს შეუწყალა და ზატკითა დაიჭარა, აღისუნა მრავალ-გუჯარნი 320 თათარნი, და დაიმორჩილნა, და ყარეთიიდა დაიმორჩილა:

და ვითარ მოიწყო თათარნი, გამომნდა კაცი ვინმე საკვირველი, რომელსა თეგოუნ გვარობით უქმობდეს. ესე მივიდა ყენს წინაშე, ეტყოდა. „მე მას მთასა რომელსა უწოდენ ბადიე წარვალ, ღვთისს სიტყუა მესმის: ამას ბრძანებს ღმერთი. ეოკელი ქვეყანა თემურჩის და მისთა ლაშქართა-თხს მიმიცია, და სახელადცა ჩინგიზ-ყაენი ერქვას:“ სოლო თქვა ესეცა, ვითარმედ ჩინგიზ-ყაენი ადვიდა მთასა მადალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე, ღმერთი ეოკელთა, და მან ასწავა სამართალი, სჯული, სიწმიდე, და სიძარბლე, ტყუილისა, ზარვისა და ეოკლისა ბოროტისა-გან განშორება, და ჰრქმუა. „თუ მცნებანი ესე დაიმარსენ, ეოკელი ქვეყანა შენ-თხს და ნათესავისა შენისა-თხს მიმიცემივს. წარვედ და აღიღო ეოკელი ქვეყანა, რა-ოდენი გეძლოს:“

სოლო იქმნა-რა ყენსა და მივიდა სატკეთხ, და შევიდა სიღვჳად ქრისტეანეთსა ეკკელესიასა, ისილა მუნ სატი მაცხოვრისა იესო ქრისტესი: მეუქსეულად თაუქანის-ცა და ჰრქმუა. „აჲ კაცი-იგი რომელი მთასა ჩინეისასა ვისილე. ამას ხანითა იყო, ამან მასწავა ეოკელი ესე წესი:“ ესე შეიყვარა ჩინგიზ-ყაენ-მან და მას აკურთხევადის, და ამისი მცნება, რა-ოდენიცა ამნო, ეოკელიეუ მტკიცედ დაიგვა: მერმე ებრძოლა სატკეთის კვლმწიფეებსა, არსლან-სანსა ზედა, და სძლო, ესრეთ კვლითიგლო, რომელ ორ ახ თათარი კაცი მოაქუდინა არსლან-სანისა: ამის-მან მცნობელ-მან არსლან-სანს, სახლსა შინა შესრულ-მან, ცოლით და ზვლითურთ, ცეცხლისა მოაღება უბრძანა მსახურთა თხსთა, რომელთა ჰქევს ეგრეთ, და დაიწვა არსლან-სანს დედაწულითურთ ცეცხლსა-მას შინა. და შევიდა ჩინგიზ-ყაენი, და დაჟდა ტახტსა-მას ზედა, და დაიპყრა სატკეთი: ესე აქამომდე იყავნ:

¹⁾ T ვერო.

წყ ვასესნოთ შულთა-თვსცა ჩინგიზ-ყუნისთა მცირედ-რამე: სოლო ამა ჩინგიზ-ყუნს ცოლინცა მრავალი ესხსეს, და შვილინცა. უსუტესის ცოლის სვირჯისა-გან ესჯა შვილი, რომელსა ერქვა თუბის, რომელსა ქართუჭლნი ჯოხიდ უკომბდენს. მეორე ჩაღათა, მესამე ოქროფა, მეოთხე თული: ესე ოთხნი ყუნად გასახისა, სცაეთს მეოფემან: უსუტესსა შულს თუბის მისცა ლაშქრისა ნასკარი და წარავლინა დიდსა სავიგნაყუთსა ზუდა, ოვსეთს, საზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნულეთამდე. და ესე ყოველი ამის მისცა: სოლო ამო სსკათა უგანასკნელ ვასესნოთ. სოლო ესე რა ცნა მალაღ-მან და ყოველთა კელმწიფეთა უდიდეს-მან სვარაზმ-შა, რომელი მამინ დლეთა სიმრავლითა მიმცოვანებულ იყო, შულისა თვისსა ჯალაღდინისდა კელთ-ეღვა სულტანობა 321 თუბი, და ქვეყანანი რომელნი მას ეპურა ჯიონს აქეთ, სვარასნისა და ერასისა: ცნა-რა მოასლოტუბა რათართა, მოუწოდა სპათა მისთა, კითარ ექქეს ახი ათ-ასთა გავთა, და წარუმართა ჩინგიზ-ყუნსა ზუდა: სოლო იგი სვარაზმ-შას წინა დაემთხვიდა. იქმის ძლიერი და ფიცისელი ომი, რომელ ორგნითვე მოსწავდა სიმრავლე ურიცხვი, და იღვივსეს სვარაზმელნი 1): სოლო ბერი სვარაზმ-შა და შთა რახმთა შინა, მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარე-მოადგეს მას: ცნა ესე შულამან მის-მან სულტან-მან ჯალაღდინ, რომელი იყო კაცი მკნე და ქველი, შვიმართებელი, უშიში კითარ უგორცო. მივიდა მცირედითა კაცითა შველად მამისა, და მისი განარინა მამა თუბი, წარმოიყუნა და იელტოდეს სვარასნად:

ამისა შემდგომად ებრძოლა გუალადცა სულტანი ჯალაღდინ მრავალ-ჯერ, რამეთუ სამ-ჯერ ჯიონს იქით შეება და ოთხ-ჯერ სვარასნს, ჯიონს აქეთ. სოლო ეინათ-გან ღმერთსა, ცოდვითა ჩვენთა-თვს მიეცა ყოველი ქვეყანა, სულიად იძლია და იელტოდა: ცნა-რა სივლტოლა ამისი და სიმადრეთა შინა შველტოლა ჩინგიზ-ყუნ-მან, წარავლინა ორნი თავადნი ზემო-სსენებულნი, ამა და სალპანნი, რომელთა ქართუჭლნი სებაჰ-ჯებობით უწოდდეს, რათა მოავლონ ქვეყანა სვარასნისა და ერავისა, სადამდის ეძღოსთ სლუად, განისილონ: სოლო ესენი წარმოვიდეს ათორ-მეტით ათ-ასითა მკედრითა, თვნიერ საჭურველისა და საზრდელისა ქონებითა, არამედ მშვილდი ოდენს. უერმლოდა:

განვლეს თურანი, ჯიონი, სვარასანი, ერავი, ადრბადაგანი, და მოიწინეს განძას, და ვერ-გინ წინა-აღუდგა, და თუ ვინ სადა გამოხდის, ყოველთა სილიან, და მოიწინეს საზღვართა სა-ქართუჭლოსათა, იწიეს დადრეკად ქვეყანა გაცისა: ცნა ესე ვარამ გაცელ-მან და ივანე ათაბაგ-მან, და ანობეს მეფეს ლაშას, უცხოთა ნათესავისა მოსლვა, უცხოთა ენითა, აოსრებად სომხითისა: სოლო მეფე-მან მოუწოდა სპათა თვსთა, იურთა და აძურთა, და შეერბა ოთხ-მეოც და ათი ათ-ასი მკედარი, და წარუმართეს თათართა კერძ, გაცისა ბოლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და მძის-წული, ზაქარიას ძე აძირ სპასალარისა, შანუ, და ვარამ გაცელი მსახურთ-უსუტესი მოკონეს

1) Ou სვარასნელნი.

დიდითა ლაშქრითა, და წარემართინეს: სოლო ივინი დაბანაკებულნი წელსა ზედა ბერდუგსა და აწ ხაგმად წოდებულსა, მის ამკერდეს და ეწვენეს ურთიერთს, და იქნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი ივლტოდეს თათრნი, და ნახევართა მხირი ეყო, და უკანით მოუკდეს: ბჰინი მოიწია რისხვა ზეკარდამო, უხუელოებათა და ცოდებათა ჩვენთა-თხს, და ივლტოდეს ქართულნი, და თათ მეთუ დაშა, და ურიცხვ სული ქრისტესანი მოკუდა. ხადა-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი, სამცხისა სპასალარი, ძლით ცრცხლი განკრა, და მეჭურჭლეთა-ურუგების უუარეკარეს შელი ბუქად მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი: და აქა იქნა მოწევნა სრულიადის ღვთისა რისხვისა, და განწირვა ქართულთა ნათესავისა, სიმრავლის-თხს უხუელოებათა ჩვენთასა. და იქნა უკუნ-ქცევა ხუესკინისა, სრულისა და მადლისა, და ხაინოსა, დაკითხისა დროშისა, გამარჯვებულისა: რამეთუ ვინათ-გან მიეცა ღმერთისა დიდისა დაკითხიდა გამარჯვებაჲ, აქა უამამე დროშა-იგი ხეიანი დაკითხისა, გამარჯვებული, არა-სადა ძლეულ იყო: სოლო აქა ამიროთ-გან, ვითარ იქნა ცვალებად ხეიანობისა ქართულთა ნათესავისა. რამეთუ არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე უამთამდე ჩვენთა:

322

ესრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი-იგი და საკელოვანნი, რომელნი ხელთაშქითა, მწუხარებითა, შეიწებოდეს: რამეთუ ვინათ-გან ჩვენი შეკაწკუთ დიერიო საქმითა ბორბოტითა, ეგრეთვე დიერთ-მან ადგუბო გული ჩვენი მწუხარებითა და წინაშე მტერთა ჩვენთა სირცხვილულ ჯგუფა: სოლო თათრნი მოიწივნეს ვიდრე სამშვილდმდე და მიერ უგუნაქცეს, რომელთა ქმნეს საკვირველნი ესე საქმენი. წარვიდეს გზისა დარუბანდისისა, რამეთუ ვერცა შარანსა წინა-ადუღა, და ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ეივანუკობ, რომელითა ბრძოლა აჭვიდეს და მრავალ-გან შემოებნეს ეივანუნი, და უოკელგით თათრნი მძლე ქმნეს, და წარვიდეს ესრეთ ოძითა: სოლო ვითარცა მითქვამს, უსაჭურველონი და უჭედელთა ცხენითა ესე-ოდენთა გზათა მავალნი, განვლეს ეივანუკობი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღვასა გარე-შემო, და მიიწივნეს გელმწიფესა ჩინგიზ-ყაენს წინაშე, უარაუერუმს, და ქმნეს საკვირველი ესე საქმე მოუსვენებლად, სლვაჲ ამა უოკელთა გზათა უჭედელთა ცხენითა: უარაუერუმით წარმო-სრულნი, მუნვე მიიწივნეს:

სოლო ესე რაჲ ცნა ჩინგიზ-ყაენ-მა, რომელ უოკელ-გან სძლიეს თათართა, წარმოავლინს შულნი მისნი, სორანისი სულტანისა ჯალალდინისი ძიებად: ცნა ესე სულტან-მან ჯალალდინს, შეიუარა ლაშქრითა და მრავალ-ჯერ ბრძოლა ქნა, ვითარცა ვთქუთ, და იგრძნა-რა სრულიადი ძლეულება თხსი, აიუარა ედა-წულითურთ თხსით, და ლაშქარი თან ჰქევა, ედა-წულით, კაცი ახ ორ-მოცი ათ-ასნი, და ივლტოდეს ჰირის-გან თათრთასა და წარმოემართინეს ჩვენ კერძო, ვითარცა ქვე-მორე სიტყუა-მან ცხად ჰქუა:

სოლო მეთუ გიორგი იუო-რა ტფილისს, იშვებდა და განსცხრებოდა: დაჲ მათი რუსუდანი ათხოვეს ხლათის დასახელად დიდ-მან სულტან-მან მელიქ-მან, რომელსა ეგვპტით ვიდრე ხლა-

323 თამდე სწარსეთი ჰქონდა, და დააყენა მოწულებამან ღვთისამან; და არაჲ ჰყო ესე: შემდგომად ამისა, დიდის შემოსიქვითა სისოკა შარავსე. უქადეს და უბრისეს მიტემისა ჰირი. გაგზავნეს შარვანს ქართლისა ერისთავი, და თუთ გიორგი მეფე ბაკვანს მივიდა, გაგზავნა და მიტემად დისამისა, და ათ დღე დრო იყო წარსლვისა მისისა: სოლო ღმერთ-მან აქაგა დააყენა. რამეთუ არაჲ დასტნარა გულისწერომა უფლისა, რომლითა განკარისეთ მრავალ-მოწყალე იგი და სხიერი, რამეთუ აღესრულა გიორგი მეფე მუნ ყოფასა შინა.

მასინ კითარტა ცნა აღსასრული თვისი მეფე-მან ღაშა, ბაკვანს მეოფ-მან, მოუწოდა წარხინებულთა სამეფოს თვისისათა, შეკედრა დაჲ თვისი რუსუდან, ცრემლთა მომდინარე-მან, და თქვა. „უწუი უმსიკობამ და ერთ-გულობა მეფეთა სათესავისა-გან თქვენ მეკდროთა საქართულწოლათა. შესწევებითა ღვთისათა, მიტივალავ დასა ჩემსა რუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე ჰყოთ, კითარ არს ჩემსულება სათესავისა თქვენი: ერთ-გულობით მონებდით და სიმეინთა თქვენითა დიციკით ტასტი მეფობისა მტერთა-გან უვნებულად. დაღათუ არა მამაჲკაცი არს, არამედ დედაჲკაცი, არა აკლთა სიბრძნესა და სამეფოთა საქმისა ცნობასა: თქვენ წარხინებულთა ამის სამეფოსათა იცით და კასოკობი წყალობა, და ნიჭი და ჰატკივი, სასატრელისა და კეთილად მისხსენებულისა, მეფეთა შორის ბრწუინვალისა დედისა ჩემისა. ეგრეთვე თუ ღმერთისა უნდეს, და-მანცა ჩემ-მან იცის ჰატკივი თქვენი, და აწ შეკედრებ წინაშე ღვთისა, რათა მეფე ჰყოთ დაჲ ჩემი რუსუდან შემდგომად ჩემსა: სოლო დასა ჩემსა რუსუდანს კამცნებ წინაშე ღვთისა, სასიერულად თქვენ ფოკელთა, რათა აღზარდოს შული ჩემი დავით: სოლო რა-ეიმს ეძლოს მეფობა და მეკდრობა, შული ჩემი დავით მეფე ჰქოს, და იგი დაადგინეთ მეფედ, მეკედრედ მეფობისა ჩემისა: სოლო დაღათუ ფრმაჲ არს აწ, არამედ ინებოს თუ ღმერთ-მან აზრდაჲ მისი, ეგონებ რომელ შემძლებელ იყოს ზერობად მეფობისა ჩემისა. რამეთუ კეთილითა ჰასაკითა არს და ჰეროკან:“

და კითარ დასსრულა ბრძანება ესე, შეისვენა მეფე-მან ღაშა-გიორგი, ბაკვანს მეოფ-მან, თითქმისა იანვარსა იწ, დღესა ოთხ-შაბათსა: მასინ მოიწია გლოკა და მწუხარება უნუგეშინიხტემო და სასიერლი ტკივილი, ცრემლთა-წილ გულთა სისხლთა დესანი, წარწირვანი დაწმომისა და სიფოცხლისანი, თანა-ზრდილთა და მომხსენებულთა კეთილთა და სიამონეთა მისთან, ტკივილი და ნაგართა თავსა სხმანი ვაზროთა და დიდებულთა, და ფოკლისა სამეფოსა-გან, და თუთ მისისა გამწრდელისა იყენ ათავავისა-გან. ანუ და-მან მის-მან რუსუდან რადენი გლოკანი აღასრულნა მრავალ დღე, ვინ შემძლებელ არს გამოთქმად: სოლო მეფე წარყევანს სამეკედრობას მათსა, გელათს, და დამარსეს სამარხოზსა ჰაშათა მისისათა:

დბ. მესამეოცდამეორე მეფე, რუსუდან, ძე თამარ მეფეთ მეფისა, და მლამა-გიორგი მეფისა, ბაგრატიონი: 1)

მამის შვირბეს ყოველნი წარჩინებულნი ამის სამეფოსანი, იძვრნი და აძვრნი, კათალიკონი ორნივე და ეპისკოპოსნი, ნიკოფსით ვიდრე დარუხანდამდე, ყოველნი მორჩილებას ქვეშე მათსა 324 მეოფის, და მეფე ეგეს რუსუდან, და დასვეს სუადართა სამეფოთა, და მიულოცეს მეფობა წესისა ერბ: სოლო იყო რუსუდან სიღვითა შვენიერი, ვითარ ხანსატრელი დედა მისი, მდაბალი, უსუ. ჰატკივის-მრეპული ჰატკივოსნათა კაცთა, მოუწარე: ამან მოიწყო ყოველი ხაზრანებული თვის და მეფობა მუჯდობით, და აღივსო ყოველი სამეფო რუსუდანისა ყოველითა კეთილითა: ჰირველად იწყეს უძღებუბა და განცხრომა, ყოველ-მან ჰასაკ-მან, და მიიქცეს ყოველნი სიბოროტად. და ვითარ არა გამოიკვდეს ღმერთი, ამის-თვს მისგან ივინი ღმერთ-მან უეუროდ გინებად და კოცად წარმართთა მიერ: რამეთუ მეფეცა რუსუდან, ჩუტლუებითა წესს ამის თვისხას ვიღოდა, განცხრომითა და სიძლერთა. ამის-თვს აღდგეს ბოროტნი უდიდესნი. რამეთუ ზემო-სხსენებული სულტანი ჯალღინი, უდიდო იქმნა-არა ბრძოლილი თათართა-გან, მოუწოდა სპათა თვსთა, ვითარცა ზემო ვთქუ, და ჰქვეშე მთ. „ივინთ და გასხვებთ, ყოველთა მარჯანათა და ერის-თავთა ჩვენთა, გუილი და წყალთა ჰაზათა და მამთა ჩემთა, და აწ ივინთ თუ რა მოიწოა ჩემ-ზედა და თქვენ-ზედა, უცხოთა ნათესავთა თათართა-გან: მრავალ-გის ბრძოლა ვევაო, და მრავალი ღვაწლი დაჯიმიინეთ, არამედ, განცებითა ზეგარდამითა: ყოველ-გან ვიძლიერთ. აწცა მოახლემოდ არაის მდინარესა ვიონსა და წინა-მბრძოლად წარმოუკლის ძე მისი უსუცები: და აწ ესე არს განზრდა-სება ჩემი. ვინთ-გან მისცა ღმერთ-მან ძლევა, უკეთუ გონავთ, და უკეთო ქვეყანას ესე, აღვი-ღოთ დედა-წული, სიმიდრე და ვოგა, და წარვიდეთ საბურძნეთს, და მუნ დავემკვდრეთ: დალა-თუ ჩვენ თათარნი გუძლევენ, გარნა ყოველთა ნათესავთა ჩვენ ვსძლოთ: უკეთუ ვის ენებოს, წარ-მოვიდეს ჩვენ-თანა, და თუ სინავთ ვისმე, ივან მინა, რამეთუ ნებაა ივან ყოველთა სთნოდ.“

მამის თქმული ესე ყოველთა ეგეთა, და აღიღეს დედა-წული და ყოველი სიმიდრე მათი, და წარმოვიდეს, და მოიწვიეს აღზრდაგანს, კაცი ვითარ ახ ორ-მოტიტი ათ-ისი, და მოიწვიეს ქვეყანად მკარ-გრძელთა. რამეთუ ივან თათავსა ეპურა დვინი და ანისი, მიეცა მისი-წულის მისი-სა შანშესად, მანდატურთა-უხუცესის-თვს: სვარა-ზემდნი მოვიდეს წელსა მესამესა ლამა-გიორ-გის მიცვალებით-გან, ტუქვიკად და მოოსრებად ქვეყანათა დვინისა და სიმიდრეთა მისითა: ტნესა რა ივან თათავს-მან და ვარამ გაკელ-მან, სივიდეს რუსუდან მეფეს წინაშე; მოასხენეს მოსლვა ჰვარა-ზემლეთა და თუთ დიდისა სულტანისა ჯალღინისა, კოცად და მოსრეად ქრისტეანეთა: ესრეთ უწყალოდ მოსრეიდეს, რომელ არცა თუ დედათა და ჩხვლთა ყრმთა რიდედეს: 325

1) La rubrique manque, T.

სოლო ვითარ ცნა რუსუდან შემოსლვა სვარსხელთა სამეფოსა შინა მისსა, მოუწოდა ერთათ იბერთა და ამერთა, და მოიღო დროშა სეფე, და მოუწოდა ივანე ათაბაგსა, რომელი მას ეძმა მიმეცოვნებულ იყო, არა განცხადებულად, არამედ ფარულად მონახონა-ქმნილ იყო: განახინა მეფე-მან რუსუდან სწათა მისთა თავად, და უბოძა დროშა ივანე ათაბაგსა, და წარავლინა ბრძოლად სულტანისა-მის ვაჟალდინისა: სოლო მოაწივნეს დვინსა და ამბერდეს ¹⁾. და დაეხანაკა სვარსხელთა სოფელსა რომელსა ჰრქვიან გარნისი, და მირავიდეს სწანი მეფისანი, წინა განეწეო სულტანი ვაჟალდინი: აქით ივანე ათაბაგ-მან განაწეო სწანი მეფისანი, იმიერ და ამიერ, და აინა წინა-მბრძოლად თორელნი და მსინიგა-იგი ორნი ასაღვისელნი, შალვა და ივანე, სასელოვანსი-იგი მბრძოლნი, ვითარ წესად არს სასლისა მათისდა წინა-მბრძოლობა: სოლო ვითარ დაეხსენეს წინა-მბრძოლნი და სულტანი, აქა დაიხურა ფერკი ივანე ათაბაგ-მან. იტყვან ვითარმედ შურიითა ჰყო ასაღვისელთა შალვა და ივანესითა: ჴი შური ეოკვლთა ბოროტთა დასახაძი და ძურ-მოძევედელი კაცთა სითესვისსა და ეოკვლთა ნათესავთა მწეუკელი. ვითარ ურითა ღვთის მკვლევლობა არწმუნა, და კვალად აქად უგბილი და უღმობელი, და საქართველოსი სრულიადი მოსპობლა, ვითარ ქვემოთ სიტყვა-მ ცხად ჰქოს, რომელი ათაბაგსა ივანეს არწმუნა რომელ ეძმა წყობისა და ეძმისა ომისასა უკუნ-დგა და არღარა კიდოდა მბრძოლთა კერძ:

სოლო წინა-მბრძოლთა ეოკვლთა მოუკვლინეს კაცი და ჰრქვეს. „დაასლებულ ვართ სულტანსა და სწათა მისთა, და ჩვენ დიდად უმდირეს ვართ, და ომი ძლიერი წინ გვიც. წარმოიძღვონ მესეთა-სწათა მეფისათა, და სიმკნე-მან შენ-მან:“ ესე ორ-გზის და სამ-გზის მოუკვლინეს. სოლო იგი არა-რას მიუტედა: სოლო ვინათ-გან წინა-მბრძოლნი თორელნი, და უმეტეს ასაღვისელნი შალვა და ივანე ასოვან იუწყეს და წეობათ შინ სასელოვანსი, არღარა ჰრადეს სიმრავლესა სულტანისა სწათასა. ვითა მეცნის ზედა-მიეტყვენეს, და იქმეს ძლიერნი ომნი: მოსწედა ორგინითვე ურიცხვი. რამეთუ ძლიერად მბრძოლობდეს შალვა და ივანე, ასოვანთა და ძლიერთა. სრავდეს, და განგრძელდა ომი სასტიკი. სოლო ივანე ათაბაგი და სწანი ქართულთანი სეღვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავთა და ერთ-სეულთა, ქრისტეს აღმსარებულთა თორელთა, და მათ-თანა მრავლთა სასელოვანთა. არამედ დგეს შორით და არა იხებეს შველა ივანე ათაბაგ-მან, რომელსა შურიითა იტყვიან ამას ეოფად და არათუ შიშითა:

